1.40
1958/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

7
ივლისი
1958



ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰაუ, სად ხარ!

ხახლში დარჩი უგუნებოდ,
მზეს და ქარებს ემალები,
ვერ იხილე უფსკრულები,
ვერც ელვარე მწვერვალები.

ვერ გახველი ბონდის ხიდზე,
ჟრუანტელით,
აღელვებით,
ვერც წიგნივით წაიკითხე
ჩვენი ქვეყნის ნანგრევები.

ვერც მინდორმა გაგაჩერა
ყაყაჩო რომ, მოდებია,
განა მართლა ყაყაჩოა?
წითელქუდა ოდებია!

ჰაუ, სად ხარ, გახარებდეს
ეს წვიმები მხიარული,
შენც ისწავლო ნაპრალებზე
ხარ-ჯიხვივით სიარული.

გესმას მთების დაფიონი,
ნახო ზეცის აქარვება,
ფოთოლივით გაფრიალოს
ბონდის ხიდმა—საქანელამ.

შენც ჩვენსავით დაიარო
დახატული საქართველო,
ეხო მოგცეს დარიალმა,
ღამე ტყეში გაათენო

ხახლში დარჩი უგუნებოდ
და მეგობრებს გვენანები,
ვერ იხილე უფსკრულები,
ვერ დაიპყრე მწვერვალები.

ნახ. დ. ნოდიახი

# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

7

ივლისი

1958



## შინაარსი

გვ.

ნ. კილასონია—ჰაუ, სად ხარ! (ლექსი) . . . . . . . . . . . . . . . . . გარეკანის 1
პიონერის კლუბი . . . . . . . . . 1
თ. ჯანგულაშვილი—კალოებზე დადგა ხვავი (ლექსი) 5
შ. სამადაშვილი—პეპელა (ლექსი) . . . . . . . . 5
რ. ელანიძე—ყაშა (მოთხრობა, გაგრძელება) . . . 6
საჭადრაკო კონკურსი . . . . . . . . . 14
საინტერესო თემაზე . . . . . . . . . 15
ს. შანშიაშვილი—მუმლი და მონადირე (პოემა) . . 16
თ. ჩიქოვანი—ნაოსნობა ძველ საქართველოში (წერილი) . . . . . . . . . . . . . . . . 18
გ. ალავერდაშვილი—ბოჩიას ნამბობი (მოთხრობა) 20
ა. კარბელაშვილი – უცნაური კრისტალები (წერილი) 26
ალსენი ტურე—კატა მიაუ და თაგვი ბამბატოლე (აფრიკული ზღაპარი) . . . . . . . . . 28
მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . . 31
25 წელი სცენაზე . . . . . . . . . 32
ტექნიკის სამყაროში . . . . . . . . . 32





გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის რ. ცუცქირიძეს, გარეკანის მეოთხე გვერდისა—გ. როინიშვილს, გარეკანის მესამე გვერდზე—გასართობი.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: რ. ცუცქირიძის, დ. ხახუტაშვილის, ზ. ლეჟავას და ნ. შალიკაშვილის მიერ.





რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

გამოცემის წელი XXXII

საბლიტგამი




★

ძვირფასო ბავშვებო, ჟურნალ «პიონერის» ფურცლებზე იხსნება «პიონერის კლუბი». კლუბის წევრად გახდომა შეუძლია ჩვენი ჟურნალის ყოველ მკითხველს. ჩვენი რესპუბლიკის ყოველ პიონერ-მოსწავლეს. საჭიროებისამებრ, მოწვეული და ჩაბმული იქნებიან კლუბის მუშაობაში, აგრეთვე. ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის. ჩვენი მეურნეობის გამოჩენილი ადამიანები.

ბავშვებო. ჩვენი კლუბის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად არაა საჭირო რაიმე სხდომებზე და შეკრებებზე სიარული; დაუსწრებლად. წერილობით შეგიძლიათ გვაცნობოთ თქვენი პიონერული რაზმის ცხოვრებაზე. მოგვწეროთ თუ როგორ ემზადებით ლენინური კომკავშირის 40 წლისთავის შესახვედრად. როგორ გახვედით საკოლმეურნეო მინდვრებზე. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში, როგორ ეხმარებით უფროსებს მშობლიური ქალაქებისა და სოფლების გამშვენიერებაში. კეთილმოწყობაში. შეგიძლიათ «პიონერის კლუბის» ფურცლებზე აღძრათ თქვენთვის საინტერესო, ამაღელვებელი საკითხები პიონერული მუშაობის, სწავლისა და მორალის.

ასეთი ბარათების გამოგზავნა შეგიძლიათ შემდეგი მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 91, ჟურნალ «პიონერის» რედაქციას, «პიონერის კლუბისათვის».

★

# პიონერი ლენინური კომკავშირის ღირსეული ცვლაა

აბა, რომელი პიონერი არ ოცნებობს იმ დღეზე, როცა სანატრელ კომკავშირულ ბილეთს მიიღებს. ამიტომაცაა, რომ ჩვენი ქვეყნის პიონერები ისეთივე მღელვარებით ემზადებიან ლენინური კომკავშირის დაბადების დღისათვის, როგორც მათი უფროსი და-ძმები. აი, რას იწერებიან ისინი:

„ჩვენი რაზმი დიდი გულმოდგინებით ემზადება ამ დიადი თარიღისათვის. სკოლის ნაკვეთში დავრგეთ სამოცი ძირი ხეხილი. პირადად მე ხუთი ძირი დავრგე, დე, იხაროს ამ ხეხილმა ჩვენი პიონერული მეგობრობის საწინდრად.

სართიჭალის 1 საშუალო
სკოლის V კლ. მოსწავლე
მურად გენგაშვილი“

„ჩვენ, სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის პიონერები, ამ დღეებში სტუმრად ვეწვიეთ 1905 წლის რევოლუციის მონაწილეს, ძველ კომკავშირელს — ნიკოლოზ გრიგოლისძე დათიბაშვილს. მან გვიამბო შავბნელი წარსულის შესახებ, ჩვენი რაიონის იმ მამაცი ახალგაზრდების შესახებ, რომლებმაც ბოლშევიკებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა 1905 წლის რევოლუციაში. ჩვენ მღელვარებით ვუსმენდით ამ მოგონებას. თავის მხრივ ძია ნიკოლოზმა გვთხოვა გვეამბნა ჩვენი რაზმის საქმიანობის შესახებ. როდესაც გაიგო, რომ ჩვენ, მეხუთე კლასის პიონერები, დახმარებას ვუწევთ სამამულო ომში დაღუპულთა ოჯახებს, ძალიან გაეხარდა. იმ დღეებში გავედით თამარ ალადაშვილის ბოსტანში. მოვრწყეთ ბოსტნეული, ავკენჭეთ ხახვი, შემოვთოხნეთ კარტოფილი. დეიდა თამარმა წამოსვლისას მადლობა გადაგვიხადა.

სიღნაღის რაიონის სოფელ
ტიბაანის საშუალო სკოლის
მეხუთეკლასელები:
ლილი ალადაშვილი,
რუსუდან დათიბაშვილი,
ნათელა ფიროსმანიშვილი.“

„ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქალაქი. გვიხარია მისი წარმატება, უფროსებთან ერთად ვზრუნავთ მისი გალამაზებისათვის. გვინდა, — კომკავშირის სახელოვან იუბილეს უფრო დამშვენებული შეხვდეს იგი. აი, თუნდაც ეზოს სკვერის ამბავი:

როცა ჩვენი ეზოს ბავშვები პატარები ვიყავით, სკვერის მოვლა არ შეგვეძლო. ამასობაში კი იგი სრულად მიივიწყეს. ამ გაზაფხულზე შევგროვდით და გადავწყვიტეთ მისი აღდგენა. ქალაქის საბჭომ მოგვცა დეკორატიულ მცენარეთა ნერგები, სხვადასხვა ყვავილის თესლი; გავაშენეთ ყვავილნარი, მზრუნველობით ვექცევით თითოეულ ბუჩქს. ჩვენს წამოწყებას მხარი დაუჭირა ჩვენი ქალაქის მრავალმა პიონერმა. ახლა ქალაქის ყველა გაზონი პიონერთა მეთვალყურეობის ქვეშაა.

ზესტაფონის მე-2 საშუალო
სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე
ნანა დუგლაძე.

„ამ გაზაფხულს ჩვენმა სკოლამ სამდღიანი ტურისტული ლაშქრობა მოაწყო. უფროს მოსწავლეებთან ერთად ლაშქრობაში პიონერებმაც მივიღეთ მონაწილეობა. ეს ლაშქრობა ჩვენ ლენინურ კომკავშირს მივუძღვენით. აი, როგორი იყო ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის საშუალო სკოლის წითელლაშქრელი ანა ყოჩიაშვილი ამ ზაფხულს კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმაში საქმიანობს.

ფოტო ნ. დევიძისა

ნი მარშრუტი: ვახანის საშუალო სკოლა — ლომისმთა — ბორჯომი — ხაშური — ვახანი. ქვეითად გავიარეთ 130 კილომეტრი. ჩვენს თვალწინ გადაიშალა ბორჯომის რაიონის თვალწარმტაცი ბუნება. ორჯერ მოგვიხდა ღია ცის ქვეშ ღამის გათევა. გადავლახეთ ჯერ კიდევ თოვლიანი ზონა. ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ორჯონიკიძისა და ბორჯომის რაიონების გაშლილმა ხაძოვრებმა. დავათვალიერეთ ჩითახევჰესი, ბორჯომის შუშის ქარხანა.

ლაშქრობიდან ჰერბარიუმებითა და კოლექციებით დატვირთულნი დავბრუნდით.

ორჯონიკიძის რაიონის ვახანის
საშუალო სკოლის მოსწავლე
**სვეტლანა არევაძე**

## წითელლაშქრელები

ჩვენი რესპუბლიკის მთასა და ბარში, სოფლად და ქალაქად ომახიანად გაისმის მუყაითი და შრომისმოყვარე პიონერების, ლურჯქუდიანი „წითელლაშქრელების“ სიმღერა. „წითელ ლაშქარში“ სწავლაში წარჩინებული პიონერებია გაერთიანებული.

„წითელი ლაშქარი“ — ახე ეწოდა ლენინური კომკავშირის 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ლაშქრობას. წითელლაშქრელთა რიცხვი შვიდიათას პიონერს ითვლის. ეს არის ლაშქრობა გმირული კომკავშირის ისტორიის შესასწავლად, მშობლიური მხარის გასაცნობად, საკოლმეურნეო მინდვრებზე და მშენებლობებზე უფროსების დასახმარებლად. „წითელი ლაშქრის“ შტაბის თავმჯდომარეა პიონერების საყვარელი გმირი მალხაზ ფხიზელი.

ლაშქრობა 20 მარტიდან დაიწყო, იგი ოქტომბრის ბოლოს მთავრდება.

... და აი, ახლა, ზაფხული — ყველაზე კარგი დროა „წითელლაშქრელებისათვის.“ უფრო მეტია თავისუფალი დრო — საქმიანობაც უფრო საინტერესო გახდა.

„წითელლაშქრელთა“ ათეულებმა და ასეულებმა უკვე დაიწყეს მოგზაურობა მშობლიური მხარის ,ასაცნობად, კომკავშირის ისტორიის შესწავლა, შეხვდნენ ძველ კომკავშირელებს, შეაგროვეს მასალები, ხალხური ლექსები და ძველი სიმღერები, ნაამბობები, მოგონებები, ფოტოდოკუმენტები კომკავშირელებზე, რომლებიც იბრძოდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. უვლიან საბჭოთა სამშობლოს



შეჯიბრება კარვის გაშლაში.

ფოტო გ. შენგელიასი



სოფ. გურჯაანის საშუალო სკოლის წითელლაშქრელები: ნიკო ცისკარიშვილი, შოთა შოშიაშვილი, დავით და ანიკო ელიზბარაშვილები ზვარში გავიდნენ.

ფოტო. ნ. დევიძისა

ოქტომბერში ლენინურ კომკავშირს არსებობის 40 წელი უსრულდება, უფროს ამხანაგებს პიონერებიც არ ჩამორჩებიან — ბევრ საინტერესო საჩუქრებს უძღვნიან იუბილარს „წითელლაშქრელები“.

საუკეთესოთა შორის საუკეთესო წითელლაშქრელები პიონერთა მეხუთე რესპუბლიკური შეკრების დელეგატები გახდებიან.

თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში დაღუპულ კომკავშირელთა საფლავებს. მზრუნველობას უწევენ მათ ოჯახებს, აგროვებენ ჯართსა და მაკულატურას .. და, მართლაც, ბევრი რამ გაკეთდა პიონერთა ხელებით.

ჩაჩხრიალის დაწყებითი სკოლის პიონერებმა, ახმეტის რაიონიდან — ციური თედეშვილმა, ნარგიზ ხოსროშვილმა, ნუნუ საყვარელიძემ, ვლადიმერ მისრიაულმა და მისმა მეგობრებმა ერთ ჰექტარ დაჭაობებულ მიწის ფართობზე წყლის საწრეტი რუები გაიყვანეს, 12 ძირი კაკლის ხე დარგეს. მთელი სოფელი ემადლიერება პატარებს.

ასპინძის საშუალო სკოლის „წითელლაშქრელებმა“ შეაგროვეს 1600 კილოგრამი ჯართი, 300 კილოგრამი მაკულატურა, გააშენეს ვაზი, სკოლის ნაკვეთზე 300 ძირი ხე დარგეს, ხოლო სოფლის შუაგულში ოქტომბრელთა სახელობის ბაღს ჩაუყარეს საფუძველი. კოლმეურნეობის მეფრინველეობის ფერმიდან 300 წიწილა გამოიყვანეს გასაზრდელად, რომლებსაც სწორედ კომკავშირის საიუბილეო დღეებში — ოქტომბერში დაუბრუნებენ კოლმეურნეობას.

ჩხოროწყუს რაიონის, ლეწურწუმის შვიდწლიანი სკოლის „წითელი ლაშქრის“ ათეულს ძველი ბოლშევიკი — ვალერიან გობეჩია ხელმძღვანელობს, რომლის ხელმძღვანელობით მერი ესართიამ, ზაირა წურწუმიამ, ნელი დამენიამ, დალი ვეკუამ და მათმა ამხანაგებმა სოფლის კომკავშირის ისტორია შეისწავლეს, ესტუმრნენ ბოლშევიკ მაქსიმე წურწუმიას, ბევრი რამ საინტერესო მოისმინეს მისგან.

ამავე რაიონის მუხურელმა პიონერებმა კი ქართული ჯიშის ფუტკრის მოშენების ჩხოროწყუს სახელმწიფო საჯიშეს ნაკვეთზე 900 ძირი აკაციის ნერგი დარგეს. თვითონვე უვლიან დარგულ ხეებს, ამავე დროს ფუტკრის მოვლასაც სწავლობენ.

ლენინგორის რაიონის იკოთის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში „წითელლაშქრელები“ მზია დელიშვილი, ვენერა ჩიტაშვილი, მზევარ გიგაური, ზაურ ზანგურაშვილი და მთელი მათი ათეული ხარებს უვლიან. დილის ექვს საათზე უკვე ფერმაში არიან, ასუფთავებენ საქონლის სადგომს და მომვლელებს საკვების დამზადებაში ეხმარებიან.

## თბილისი ათასხუთასი წლისა ხდება

ამ მნიშვნელოვან თარიღს უფროსებთან ერთად ნორჩებიც ზეიმობენ. ისინი გულმოდგინედ სწავლობენ საყვარელ ქალაქს, მის ისტორიულ წარსულს, დიად აწმყოსა და საამაყო მომავალს. რამდენმა ნორჩმა პოეტმა უძღვნა ლექსი თბილისს, რამდენმა ნორჩმა ტურისტმა გადაიკიდა მოლაშქრის ჩანთა და აჰყვა ნარიყალას ციცაბოსა თუ მეტეხის აღმართს, გავიდა კრწანისის ველზე, ინახულა ავლაბრის არალეგალური სტამბა, შეისწავლა ცხრა ძმის ქუჩის ისტორია, კომუნარების ბაღი. ყვავილებით შეამკო ძმათა სასაფლაო. აი, თუნდაც მაისის იმ ლამაზ დღეს:

ცნობილი ალპინისტი ქალი — ალექსანდრა ჯაფარიძე, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, პედაგოგები, კომკავშირელები გაფაციცებით შეჰყურებენ ნორჩ ტურისტთა საქმიანობას. უჩვეულოდაა ახმიანებული ხუდადოვის ტყე. მწვანე ველზე ყაყაჩოებივით მოჩანს მიწაზე დარჭობილი პატარა ალმები: „ნარიყალა“, „შავნაბადა“, „მეტეხი“, „კრწანისი“ აწერია მათ. აქ ხომ თბილისის ნორჩი ტურისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან კომპასით ორიენტირებაში, მხარეთმცოდნეობითი შინაარსის ვიქტორინაში, კარვის გაშლაში.

აგერ, ოცდამეექვსე სკოლის მეშვიდეკლასელ დავით ჩუბინაშვილსა და თამაზ ავალიშვილს ხელიხვულ-

ზე საუნჯესავით დაუდვიათ კომპასი და მარშრუტის ფურცლებზე აღნიშნული გზით მიემართებიან წითელი ალმებისაკენ. შეჯიბრების დამთავრებისას მათ პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს. ნორჩი ტურისტები დაგვეთანხმებიან, რომ იმ დღეს ყველაზე რთული საქმე მაინც კარვის გაშლა იყო. აბა, სცადე და სულ მოკლე დროში სწრაფად და უშეცდომოდ წამოსჭიმე კარავი! ერთი მცირე ნაოჭი კარვის კედელზე ან სახურავზე და... სისწრაფე უკვე ვეღარ გიშველის. შეიძლება მეორე ოთხეულმა შენზე ერთი ან ორი წუთით გვიან გაშალოს კარავი, მაგრამ მაინც გამარჯვებული ის გამოვიდეს, რადგან მათ გაშლილ კარავს ერთი ნაოჭიც არ ასდევს. ეს კი მეტად საყურადღებოა. ხომ შეიძლება ავდარში წვიმა დაგუბდეს ამ ნაოჭზე და კარავს შეფარებული მოლაშქრე მაინც გალუმპული აღმოჩნდეს! ეს კარგად იცოდნენ 26 კომისრის რაიონის 103-ე სკოლის მეშვიდეკლასელებმა ალა ლეკიაშვილმა, სვეტლანა სოტნიკოვამ, ნათელა წერეთელმა და ელეონორა არუთინოვამ. მათ 5 წუთში უშეცდომოდ გაშალეს კარავი და 5 ქულა მიიღეს. პირველი ადგილის მიღებამ გოგონები ძალზე გაახარა. სტალინის რაიონის მე-17 სკოლის მეექვსეკლასელებმა: თამაზ ჭანტურიამ, ტარიელ ჟღენტმა, ოთარ ცანავამ, დავით ხვიჩიამ კი მეორე ადგილი დაისაკუთრეს. ეს საინტერესო ტრადიციული შეჯიბრება პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ტურისტულმა სექციამ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა საექსკურსიო ტურისტულმა სადგურმა მოაწყო. ნორჩმა მოლაშქრეებმა იგი თბილისის ათასხუთას წლისთავს მიუძღვნეს.





თეიმურაზ ჯანგულაშვილი

I

წელს ისწორებს გზისპირ ჩალა,
ნამი სცვივა ხორბალივით,
ვენახ-ვენახ მიდის შარა
და შარაზე—კომბაინი.

წამოფრინდნენ ტოროლები,
განა თითო-ოროლები?..

ხეივნები შეარხევენ
ოდნავ სიტკბოჩამდგარ მტევნებს,
შეხე გზისპირ ვაშლის ხეებს,
რა ღიმილი დაგვადევნეს.

მიჰქრის ავტო, მივიმღერით:
მინდვრისაკენ, ჰერი! ჰერი!

ჩვენს მკერდებზე ყელსახვევი,
მანქანაზე დროშა არი,
ოქროსფერი ტალღის რხევით
ზღვა მიგველის მოსავალის.

II

მტკავლის სიგრძე თავთავები
შრიალს აღარ ათავებენ.

ამ ზღვის ტალღებს ვეჭიდებით
და კალოზე დგება ხვავი,
ქვითქვითებენ მწყერჩიტები,
ძლივს უჭირავს თავთავს თავი.

ჩვენც ჩვენს მამებს ვეხმარებით,
დგება ხორბლის ოქროს მთები.

პურის მთებმა გაახარა
მიწაც, ოფლით მობანილი;
ცის კალოდან მზე თაკარა
სხივებს გვაყრის ხორბალივით.



პეპელა



შაქრო სამადაშვილი

დაიღალა ფრენით, მერე
ჩემს წინ დაჯდა, მოვეფერე.

ო, ეს ფრთები!.. ასე კარგად
რა აზრმა და ხელმა ჰქარგა!

კვლავ აფრინდა, ფრინავს სწრაფად,
შეეჩვია ჩემთან ტრიალს,
მისი ფრთების მსგავსი კაბა
დისთვის ხშირად მინატრია.

პეპლის ყოველ დანახვაზე
მახსენდება ნატვრა დაზე...

ვეწვეოდი ხოლმე ჯეჯილს
და შიგ ქროლვას მთხოვდა გული.
პეპლის ფრთებზე ფერთა შეჯიბრს
ვუყავდი მუდამ მოხიბლული.

გატაცება, თამაშობა,
ლამაზ-ლამაზ ყვავილთ კონა,
ამ პეპელამ ის ბავშვობა,
ის ცელქობა მომაგონა.

ო, ეს ფრთები!.. ასე კარგად
რა აზრმა და ხელმა ჰქარგა!



**როსტომ ელანიძე**

# ყაშა

ნახატები დ. ხახუტაშვილისა

## ყაშას ნაკბილარი

— ახლა უნდა გიამბოთ იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდა ყაშას ნაკბილარები იმ მოხუცის მხრებზე, წელან ოპერაციის დროს რომ ვსინჯავდი,—თქვა ღიმილით ექიმმა და ისევ განაგრძო:

— მგლის დახრჩობის შემდეგ ბოტაშვილი ისე უხეშად აღარ გვეპყრობოდა მე და ყაშას. განსაკუთრებით ყაშას გულის მონადირებას ცდილობდა. ამ მიზნით ცალკე სალაფავიც კი დაუნიშნა, მაგრამ ძაღლმა რაღაც საოცარი ავი მახსოვრობა გამოიჩინა, – ქვაწვიას ახლოს არ მიეკარა.

ჩემი იქ მისვლიდან მესამე წლის შემოდგომაზე, იმ ქვაწვიასთან უსიამოვნების გამო, საზაფხულო საძოვრებიდან რომ დავბრუნდით, ერთდროულად სამი მწყემსი წავიდა ბინიდან. ეს დანაკლისი პირველ დღიდანვე ყველასათვის საგრძნობი შეიქნა. გაძნელდა იმდენი საქონლის მოვლა. ამ მდგომარეობის გამო ქვაწვიამ მეორე დღესვე კოჭლი ფარიდან ნამდვილ ფარაში გადამიყვანა და თან სუსხი მომაყარა:

— ამ ცხვარს თვალისჩინივით გაუფრთხილდი, თორემ ზარალს შენი გამხმარი თავის მეტი ვერაფერი უშველის!

მე ისეც მემძიმებოდა ჩემი ახალი მოვალეობა და მისმა სიტყვებმა კიდევ უფრო ჩამაფიქრა: მარტო როგორ მოვუვლი ათას სულ ცხვარს-მეთქი, ჩამოვღერღე გაუბედავად.

მწყემსებმა ჯერ სიცილი დამაყარეს და მერე დამამშვიდეს. ყველაზე სათუთად მაინც ძია შიოლამ გადამისვა თავზე ხელი და მეც გავქეჩე ახლად ჩაბარებული ცხვრის ფარა...

ჩემი დაწინაურების მესამე დღეს ცხვარს ვაბალახებდი ბინიდან კარგა დაშორებით. შუადღისას, ყაშამ კურდღელი წამოაგდო ჯაგებიდან და გამოეკიდა. რაღა თქმა უნდა, მე გასართობი ვიშოვე და მაშინვე გავყევი უკან ჩემი შემართული კომბლით, სტვენითა და კივილით.

თურმე ნუ იტყვით, სწორედ იმ დროს, როცა მე ფარას საკმარისად დავშორდი, ბინის პატრონი მოსულა ჩვენს შესამოწმებლად და იქვე მიმალულა. უკან რომ მოვბრუნდით ნანადირევით, საიდანღაც ისიც ამოძვრა მოულოდნელად და წინ აგვეტუზა.

მის დანახვაზე მე ფერი მეცვალა, ყაშამ ტუჩები აიგრიხა და აიბურძგნა.

— შე სალახანავ, როგორ ბედავ ფარის ასე შორს მიტოვებას!—მომახალა მან მოსვლისთანავე.

შორიდან ვადევნებდი თვალს-მეთქი, წავილუღლუღე გაუბედავად და უფრო მოვიბუზე.

— იცოდე, ამ კურდღლების დევნა სიცოცხლედ დაგიჯდება!—შემიტია ერთი კიდევ, ნანადირევი ხელიდან გამომგლიჯა და გაბრუნდა.

უცებ ყაშამ, შენიშნა თუ არა ქვაწვიას ხელში თავისი ნანადირევი, ელდიანივით მხრებზე დააცხრა და წააქცია.

გავქანდი მისაშველებლად, მაგრამ რაღა დროს! ტანსაცმელი-ბეჭებიდანვე კბილებით ძირს იყო წამოღებული და სისხლი თქრიალით მოდიოდა. მორჩა! ახლა კი ანდერძს ამიგებს-მეთქი, გავიფიქრე შეშინებულმა და ყაშას მივეკარი. მაგრამ ქვაწვიამ შემოგვხედა, ერთი კი მოგვაფურთხა და თანავე დააყოლა:

— ეშმაკის კერძო! დღევანდელ მარცხზე კრინტი არ დასძრა არსად, თორემ ცოცხალი არ გადამირჩები!

შემდეგ ნაკბილარები მოისინჯა. ჩამოგლეჯილი ტანსაცმელი მაღლა აიწია და წავიდა. კურდღელი აღარ გახსენებია—ჩვენი ლუკმა ჩვენვე დაგვრჩა.

საღამოს შიშით შეპყრობილი მივერეკებოდი ცხვარს ბინისაკენ. ყველაზე გვიან დავაბინავე სადგომში და მე თვითონაც ქოხში ბლარ მივსულვარ. სანამ ყველანი არ დაწვნენ, ველარც ჩემს საწოლში გავბედე შესვლა.

---

* გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 6.

ავი მოლოდინის მიუჵედავად იმ ღამემაც მშვიდად ჩაიარა, მეორე დღემაც. მესამემაც. შემდეგ დღეებში რამდენიმე ხნით სულ გაჰქრა ბინიდან ჩემი საფრთხობელა.

ნუთუ შეგვრჩა მე და ყაშას ის დანაშაული?! — ვფიქრობ ჩემთვის და თან ამის მიზეზს ვეძებ. განსაკუთრებით, როცა მწყემსებში ბინის პატრონის შესახებ ჩამოვარდება ლაპარაკი, მაშინ ხომ სმენადა ვარ გადაქცეული, ეგება ვინმეს წამოსცდეს მისი ახლად მიღებული ჭრილობის შესახებ რამე-მეთქი, მაგრამ კრინტს არავინა სძრავს. ოღონდ ერთხელ, კარგა მოგვიანებით, ძია შიოლამ მკითხა: მავან დროს ჩვენი უფროსი შენთან ხომ არ იყო საძოვრებზე შესამოწმებლად, ვილაცის ძაღლს ისე მწარედ დაუგლეჯია, მხარს მაღლა ველარ სწევსო.

ძია შიოლას ხომ არ დავუმალავდი! დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი.

## ქარიშხლიანი ღამე

მიუხედავად ამდენი შიშისა, ყაშას დანაშაულმა მშვიდად ჩაიარა. რამდენიმე დღის შემდეგ ძია შიოლას ვკითხე ამის მიზეზი და მიპასუხა:

— ქვაწვიას თქვენს შესახებ კრინტი არ დაუძრავს. ნაკბილარები ვილაც შემთხვევით გავლილი მგზავრის ძაღლს დააბრალა. ალბათ იმიტომ, რომ ამ ცოტა ხანში თავისი უსამართლობით რამდენიმე მწყემსი გაექცა და შენი წასვლისაც შეეშინდა. გარდა ამისა, ალბათ სირცხვილად მიაჩნია თავისივე ბინის ძაღლის ნაკბენი.

ახლაღა მივხვდი, თუ რატომ არ იქუხა ბოტაშვილის რისხვამ ჩვენს თავზე და ამიტომ კიდევ უფრო მოვერიდე მის გზა-კვალს. ვცდილობდი უკეთესად მომევლო ჩემთვის მონდობილი ცხვრის ფარისათვის, მაგრამ, რომ იტყვიან საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, მეც ისე დამემართა.

სწორედ იმ ხანებში, როდესაც ჩემი მწყემსობის სამი წლისთავი ახლოვდებოდა, ერთ დღეს ცხვარი შედარებით უფრო შორს გავრეკე საბალახოდ, ეტყობა კარგმა ბალახმა და ამინდმა გამიტყუა. საღამოთი, როცა მზე ერთი შუბის ტარზე დაეშვა, ცხვარი უკვე ბინისაკენ შემოვაბრუნე. ერთგან ბუჩქიანი და ქვა ღორღიანი ადგილი შემხვდა, ის იყო გავცდი მას, რომ მარცხენა ფეხზე საშინელი სიმწვავე ვიგრძენი.

იმავე წუთს ჯერ ფეხს ვეცი, შემდეგ ბალახები გადავჩხრიკე, ქვები გადავაბრუნე, მაგრამ მიზეზს მაინც ვერ მივაგენი. შედეგი კი აშკარად ჩანდა — ფეხი სწორედ იმ ადგილზე მქონდა დასისხლიანებული და წამოწითლებული, რომელიც გახეული ქალამნის ჯლანიდან ტიტვლად მოჩანდა.

ნაკბენი ადგილი იმავ წუთს დამისივდა. თუმცა მაშინ ამის გამოცდილება არ გაჩაჩნდა, საფრთხე მაინც აშკარად ვიგრძენი. უფროსი მწყემსებისაგან გაგონილი მქონდა: თუ შხამიანმა რამემ გიკბინოს, ნაკბენის ორივე მხარეზე თასმა შემოიჭირე და სიმსივნეს შეაჩერებსო.



უცებ ყაშა ქვაწვიას ელდიანივით მხრებზე დაახტა და წააქცია.

რა თქმა უნდა, მაშინვე მივმართე ამ საშუალებას; მაგრამ ფეხი მაინც სულ მალე რუმბივით გამიხდა, სიმსივნე მეორე ფეხზეც გადავიდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ სიარული გამიჭირდა, ტანში ციებიანივით შემაჟრიალა, თვალთ დამიბნელდა. ამ სიმწარეში თანაც მზე მთების იქით გადაეშვა, ხევე-



წვიმს, ელავს, გრუხუნებს ცა და დედამიწა. მე ნიჟარადამტვრეულ ლოკოკინასავით ვიკრუნჩხები.

ბში მიკუნჭული უფერული ჩრდილები უცბად ჩაძრიშალნენ, თანდათან გამუქდნენ და გაერთიანდნენ. ეს კიდევ არაფერი, სიბნელეს თან აღმოსავლეთის ქარი მოჰყვა, ცა ღრუბლებით გაიჭედა და კიდევ უფრო კუპრივით გაშავდა.

მე მაინც არ ვემორჩილები იმ უხილავ შხამს, რომელიც ტანში ჩამიდგა, ვერეკები ცხვარს, ვამხნევებ ყაშას. მაგრამ თანაც ვგრძნობ—დიდი მანძილი აღარა მაქვს.

ძაღლიც მიხვდა ამ გასაჭირს, ჩემზე მეტად შეწუხებული დარბის, ყეფს, წკმუტუნებს, ხან ჩემთან მოვარდება, ხან ცხვარს უვლის გარშემო. კიდევ რამდენჯერმე გავიბრძოლე და შემდეგ გავერთხე: ვღადრავ მიწას, ქვა-ქვიშას, ვგლეჯავ ბალახებს და დრო და დრო ისევ ყაშას გავძახი, ვამხნევებ.

უცებ ცაზე ელვა აიკლაკნა, ელვას ქუხილი მოჰყვა და იმავ წუთს კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ყაშა ახლა უფრო გადაირია—ამ თავსხმაში დრო და დრო ჩემთან მოვარდება, წკმუტუნებს, მილოკავს ხელფეხს, სახეს, მერე ისევ იკარგება და უფრო დიდი ხანი აღარ ჩნდება. ცხადია ამ დროს ცხვარს უვლის.

— ყაშა!—ვეუბნები ბრძანების კილოთი,—წადი, ცხვარს მიხედე, მე არაფერი მიშავს, წადი ჩქარა, ნადირი არ მიაკარო.

თითქოს გაიგო მან ჩემი სურვილი. წავიდა და აღარც მობრუნებულა. იმის შემდეგ რამდენჯერმე ღმუილი შემომესმა, ეს იყო და ეს...

წვიმს, ელავს, გრუხუნებს ცა და დედამიწა. ჩემს ირგვლივ ერთიმეორეს ეხეთქებიან ღვარები. მე ნიჟარადამტვრეულ ლოკოკინასავით ვიკრუნჩხები ჩემს თექისძველაში და ის თითქოს ახლა უფრო ველარა მფარავს. უფრო მოგვიანებით შევიგრძენი—ჩემს ტანზეც ღვარები გაჩნდა, მიწკრიალებენ როგორც ქვაზე და სადღაც იღვრებიან.

ყველაფერი წყალს მიაქვს. ვინ იცის როგორი სიგრილეა ირგვლივ, მე კი ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ცეცხლი მიკიდია, თითქოს ეს წვიმა იმის ჩასაქრობად მოდის.

თენებისას მიწყდა ავი ნიაღვარი. ღრუბლებიდან მთვარემ ერთი-ორჯერ კი გამოანათა და ისევ მიიმალა.

უცებ, ზევიდან რაღაცა ღმუილივით შემომესმა, შემდეგ ეს ღმუილი კაცის ხმად მომეჩვენა. უფრო მოგვიანებით გარკვევით გავარჩიე ძახილი:

— ჰე, ჰე, ჰე... ხომ არ იპოვე?!

ახლა დავრწმუნდი, ვიღაც ჩვენი ბინიდან ცხვრის საძებნელად წამოსულა, ოღონდ ვინ უნდა იყოს?

თუ ის ავგულა წამომადგა ზედ, ვეუბნები ჩემ თავს აქედან როგორმე გადავიჩეხები იმ უძირო ხევში და მერე მეძებოს.

ის ვიღაც თანდათან უფრო მიახლოვდება ისე, თითქოს განგებ ჩემსკენ მოდისო, ამას იმით ვიგებ, რომ ერთი და იგივე ხმა მეორდება:

— ჰე-ჰე, ხომ არ იპოვე?

რამდენიმე ხნის შემდეგ გავარჩიე, რომ შიოლას ხმა იყო, და დავიწყე მეც ძახილი, რაც შემეძლო.

ბედზე მისი მოსვლა და მთვარის გამოჩენა ღრუბლებიდან ერთი იყო:

— ძია შიოლ, შენა ხარ? მიშველე, ცხვარი დავლუპე! — შევძახე ძლივს კნავილით და კისერზე მოვეხვიე.

— იყუჩე ბალღო, ნუ გეშინია, ცხვარი სად წავა, შენ რა დაგემართა, შენ?! —მომაყარა კითხვები იმ მთისოდენა კაცმა. ტანზე ხელი მომიფათურა და გულში ჩაკრული საითღაც დევივით გამაქანა... მიაბოტებდა მოურიდებლად ხან ხევში, ხან აღმართზე, ხან მინდორზე და დაღლილობას არა გრძნობდა.

— ძია შიოლ, ჩვენს ბინაში არ მიმიყვანო, თორემ ის ცოცხალს არ გამიშვებს! —წამოვიძახე მუდარით, როცა სადღაც სინათლეს მოვკარი თვალი.

— იყუჩე, ბალღო, განა გიჟი მჭირს—ამ დროს ეშმაკის ხელში ჩაგაგდო!—მანუგეშებს ის და კიდევ უფრო თავგამეტებით გარბის.

მცირე ხნის შემდეგ ის სინათლე კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა.

კიდევ რამდენიმე დევური ნაბიჯი, და რაღაც ბინას მივადექით ზედ... ძაღლები აჰმაურდნენ...

— ეჰეი, იმედავ! —მიაძახა ჩემმა მხსნელმა რამდენჯერმე.

ამ სახელის ხსენებაზე მივხვდი ჩვენი მასპინძელი ვიღაც სხვა უნდა ყოფილიყო და დავმშვიდდი. მალე გამოგვეშველნენ მწყემსები.

ბინაში თვითონ იმედა შეგვხვდა— ჰალარით შემოსი-

ლი, მომცრო ტანის მოხუცი. ძია შიოლამ უამბო რაც მოხდა და ბოლოს დააყოლა:

— წამლობა იცი უებარი, იმედავ, ბალახებს სცნობ, ე ბალღს მოეშველე როგორმე. მადლია!

მაშინვე რაღაც უცნაური ბალახები მოხარშა, ტიტველა ჩამაწვინა შიგ, იმავე ნახარშის წვენი დამალევინა და მთელი ღამე ოფლის კორიანტელში ვიყავი გახვეული.

მეორე დღეს დილითვე წამოვდექი, თანაც ისეთი მადა ვიგრძენი, რომ ჩემი გამხმარი გუდა მოვიკითხე. მასპინძელმა სასწრაფოდ სუფრა გამიშალა. შუა ნადიმზე ძია შიოლამაც მოგვისწრო. იმან ერთი ცხენი თავისთვის მოიყვანა, ერთი ჩემთვის და თან შემდეგი მიამბო:

— ცხვარი ჯერაც არსად ჩანს, ქვაწვია ცოფსა ჰყრის და გაიძახის: იმ არამზადამ ჩემი ფარა სათათრეთისაკენ გაიტაცაო. ბიჭებს გავანდე მომხდარი ამბავი. ცხადია არ ესიამოვნათ შენი ასეთი მარცხი, ცხენი გამოგიგზავნეს ჩუმათ. შემოგითვალეს: თუ შეძლებ, შეჯექი ამ ცხენზე და სანამ ცხვარს არ იპოვი, ნუღარ მობრუნდები, თორემ ქვაწვიას ველარ გადაურჩებიო.

ცხადია ეს იყო მწარე სინამდვილე, მაგრამ რას ვიზამდი, კიდევ კარგი რომ შხამი მაინც აღარ მედგა სხეულში, საშიში შხამი.

* * *

მოვაჯექი ცხენს და გავყევი ძია შიოლას. დედამიწაზე ისევ ნისლის ზღვა ტრიალებს. დრო და დრო ისევ წვიმს და თან სუსტი ქარი უბერავს. რამდენიმე ნაბიჯზე თვალი ვერაფერს არჩევს.

— ერთად სიარული არ გვარგებს ბალღო,—მომიბრუნდა ჩემი თანამგზავრი,—მე ასე ქვევით დავეშვები, იქით ჯერ არ გვიძებნია, შეიძლება სადმე წავაწყდე. შენ თვითონ აირჩიე გული საითაც გეტყვის. უკეთესად იცი შენი ფარის გეზი.

ცხადია, მე დასავლეთს ავირჩევ-მეთქი, გავივლე უმალვე გულში,—ქარიშხალი გუშინვე იქით მიერეკებოდა ცხვარს და ვინ იცის საით გადაყარა ამ ზღვისოდენა ღამეში. მივანებე ცხენს სადავეები და აღარ ვარჩევ გზას. სადაც კი მოტიტვლებული ადგილი გვხვდება—ყველგან ცხვრის კვალს დავეძებ, ვეძახი ყაშას. უშედეგოა ჩემი წვალება, არც არაფერი ისმის და არცა ჩანს.

ნუთუ ისე გაჰქრა იმ ათასი ცხვრის ფეხი, რომ სადმე ერთი დანაჩლექი ველარ ვიპოვე?—ვებუზღუნები საკუთარ თავს და მაინც ვეძებ, ისევ ისე ვუძახი ყაშას. მერე და რა გამოდის აქედან? რა დაგიკარგავს, რას ეძებ, ვის ეძახი,..

შუადღის შემდეგ სადღაც უფრო დაკარგულში ამოვყავი თავი. ვეებერთელა მინდვრის დასავლეთით იწყება საკმაოდ ფართო და ღრმა ტყიანი ქვაბნარი. იმ ქვაბნარის ფერდობზე დავეშვი თუ არა, იმავე წუთში შევნიშნე ცხვრის კვალი, რომელიც ერთგან უფრო თხლად ემჩნევა, მეორეგან—ხშირად. ცოტა იმის იქით კიდევ



წამოვიწიე თუ არა, ბინის პატრონი ამეტუზა თვალწინ, ხელი ხანჯლისათვის ჩაებღუჯა და ჩემკენ ოდნავ გადმოხრილი, თვალამღვრეული დამცქეროდა.

მთელი ფერდობი ჩათელილია. თვალებში ნათელი ჩამიდგა.

ცოტა ხნის შემდეგ ერთ იმედს ემატება მეორე—საიდანღაც შემომესმა ყმუილი... ყმუილი კვლავ გამეორდა, ოღონდ ახლა უფრო ახლოს, ვიდრე წეღან იყონამდვილად ყაშაა!—ახლა კი გამკრა გულში რაღაც იმედმა და რაც ძალი და ღონე მქონდა ავყვირდი.

მივდივარ გიჟივით, მაგრამ ის ოხერი ნისლი დგას იმ ქვაბნარში ისეთი, რომ ცულით არ გაიჭრება.

— ყაშა! ყაშა!—ვეძახი ზედიზედ. ცხენი სადავით მიმყავს. ხან კვალს ვაშტერდები, ხან წინ ნისლსა ვწეწავ თვალებით. ამ წვალებაში მოულოდნელად შევნიშნე—ჩემს წინ ხევის პირზე ხის ტოტები შეირხა—ტოტქვეშ ლოდზე ბარძიმა რქიანი ვაცი აბოტებულიყო და იქიდან ფოთლებს უწვდებოდა.

თითქოს ცა და მიწა უნახავი შუქით აივსოო, სიხარულისაგან ისე გამიხდა თვალები. ნახევარი მაინც დამიხვდეს-მეთქი, გამკრა ფიქრმა და ნაბიჯი უფრო ავაჩქარე.

შემნიშნა თუ არა, ვაცი ფრუტუნით გადახტა ხევების იქით. მის ფრუტუნსა და ნახტომს მოჰყვა მცირე შრიალი და გუგუნი ერთად. ეს იყო ჩემთვის ცნობილი ხმა დამფრთხალი ცხვრის ფარისაგან გამოწვეული. ამ ხმას..

მოჰყვა ყაშას ელდანაცემი ყეფა. ის იმავე წუთში ჩემთან გაჩნდა და სიხარულით გადაირია კიდეც...

— ყაშა, პატრონი მიატოვე და ცხვარს გამოჰყევი, ყაშა? — ვუსაყვედურებ და თან ვეფერები. ის ამ სიტყვებზე უფრო სწუხს და წკმუტუნებს.

ჩემი ყურადღება მაინც ცხვარზეა მიპყრობილი, დავდივარ გიჟივით. ვუვლი ფარას გარშემო, დავეძებ თვალში აყვანილ-დამახსოვრებულ ცხვრებს, ვაცებს, და უმეტესობა. ვხვდები, იქ არის. ვათვალიერებ — ხომ არ არის სადმე მგლის დაგლეჯილები, დუმამოჭმულები, ყელგამოღადრულები-მეთქი. მაგრამ ასეთი არაფერი მხვდება.

— ბარაქალა ყაშა! — ვეუბნები ჩემს მეგობარს, კისერზე ხელსა ვხვევ და ზედ დრუნჩზე ვკოცნი.

* * *

მე და ყაშა ჩვენი ფარიანად დაღამებისას მივადექით იმ ადგილს. სადაც წინა ქარიშხლიან ღამეს ერთიმეორეს დავშორდით. იქვე შემოგვხვდა შიოლაც და ისიც შეუერთდა ჩვენს სიხარულს...

— ბალღო. ამ ძაღლმა გადაგარჩინა განსაცდელს. თურმე ამ შავი დღისათვის გაპოვნინა შენმა ყისმათმა, — მომილოცა ძია შიოლამ.

— ეჰ! ჯერ სადა ჩანს ყისმათი. ან გადარჩენა, ძია შიოლ, — შევნიშნე ნაღვლიანად.

— ბალღო. გონს მოდი! ამ ფარას ხომ მთელს ჩააბარებ, თავს მაინც ველარ წაგაგდებინებს ის ეშმაკის კერძი, — მანუგეშა ძია შიოლამ.

ვახშმობამოჯარებულზე მივუახლოვდით ბინას. მწყემსებმა მალე გაიგეს ჩვენი მისვლა და გამოგვეშველნენ.

შორიდან ქვაწვიას ხმას ყური მოვკარი თუ არა, იმავე წუთში ავსხლტი ცხვრის ფარას და შორიახლო გავყევი. იმ სიბნელეში ვინ შემნიშნავდა. მივყვები ტაატით და ყურს ვუგდებ. თუ რას იტყვიან მომხდარ ამბავზე, ჩემზე. ყაშაზე.

ახლა ყაშაც ჩამოსცილდა ცხვარს და ჩემთანაა.

— როგორ, არც შენ გინდა ქვაწვიასთან შეხვედრა? — ვეუბნები ჩუმად. თან ვეფერები.

ზოგჯერ გამიელვებს ქოხში მისვლის აზრი და თანვე საწინააღმდეგოს მივაყრი — როგორ, მე ახლა ქოხში თავს შევყოფ? იქ კი არა, ჩემს საწოლშიაც არ შევალ... ღამის გასათევი ადგილი გზაშივე მოვიფიქრე, სანამ ბინას მივუახლოვდებოდი. ის ადგილი ჩემი ფარეხის გადაღმაა ბუჩქებში.

ცხვრის დაბინავებისას ბინის პატრონმა რამდენჯერმე ავად მახსენა და თან მუქარაც მიაყოლა...

კურდღელს რაღა ფხიკი უნდაო, იმისი არ იყოს, მე ახლა უფრო ეკალი ამეშალა. ისინი რომ ქოხში შევიდნენ და დავრწმუნდი ჩემთვის ღარავინ შეწუხდებოდა, გავქანდი ჩემი არჩეული ადგილისაკენ. თან მეშინია: ვაი თუ იმ ბუჩქებში ღამე კიდევ რამემ მიკბინოს-მეთქი, მაგრამ, ისე ვარ მოქანცული, მოთმენა აღარ შემიძლია.

ქვეშ გასაშლელად ბალახი მოვიტანე, ბალიშად ქვა ჩამოვაგორე, ჩემი კავ-ჯოხით რამდენჯერმე ის ბუჩქები გადავჩხრიკე, გავბერტყე და ამის შემდეგ იმ ხმელ საწოლში ტკბილად ჩამეძინა.



იმ წუთში, თავქვე ჩვენთან ერთად მოხტოდა ის ნაკადულიც, რომელიც ძლიერ მიყვარდა იმ ბინის ხეობაზე. ის ახლაც ისე უდარდელად მღერის და წკრიალებს.

მზის ამოსვლისას ყაშამ გამომაღვიძა, რომელიც ღამით იქვე გვერდზე მომწოლოდა შეუმჩნევლად. წამოვიწიე თუ არა, ბინის პატრონი ამეტუზა შავი ლანდივით თვალწინ, ხელი ხანჯლისათვის ჩაებღუჯა და, ჩემკენ ოდნავ გადმოხრილი, თვალამღვრეული დამცქეროდა.

მან ჯერ კბილები გააღრჭიალა მჯეფარივით, შემდეგ მაღლა ამოწეული ხანჯალი ჩაკეფა ქარქაშში და დაიღრიალა:

— შე გველის წიწილო, როგორღა გაბედე აქ მოსვლა! გინდოდა ათასი ცხვარი ერთად გადაგეყლაპა!.. ვითომ გველმა დაგგესლა და ვეღარ გაჰყევი ფარას?! არა, ჩალაში ცეცხლი არ დაიმალება, ძაღლმა გაჯობა, შე ძილის გუდავ! წადი, წაეთრიე აქედან და თვალით არ დამენახო!

იმ წუთში ძია შიოლა და ერთიც სხვა მწყემსი გაჩნდნენ ჩვენთან. მე მაინც ელდიანივით წამოვვარდი და დავეშვი თავქვე.

ყაშაც მაშინვე უკან ამედევნა.

ეს რომ იმ დევმა შენიშნა, ისევ დაიღრიალა:

— ჰეი, შენ, მაჭლაჭუნავ! ეგ ძაღლი თან არ წაიყვანო, მაგას შენ კი არა, ორას ცხვრად არავის დავუთმობ, ჩემი პურ-წყალით არის გაზრდილი.

ძალა აღმართსა ხნავსო, იტყვიან ხოლმე, და მეც მეტი რა ღონე მქონდა—შევჩერდი. იმავე წუთში მოატანინა სქელი ჯაჭვი, ჩემი ყაშა მევე მიმაბმევინა ბოძზე და ისევ ჯანდაბისკენ მიაშვირა ხელი მუქარით...

ესეც ასე! დამთავრდა ჩემი ცხოვრების მეორე საფეხური. აი, ახლა ამ ნაბიჯებით, აქ რომ ვდგამ, იწყება მესამე საფეხური და არავინ იცის როგორი იქნება იგი!—ვეუბნები ჩემს თავს თითქოს ნიშნის მოგებით და უაზროდ მივალაჯებ.

მე ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი, რომ მხოლოდ ჩემ თავს ვესაუბრები: ვამტყუნებ, ვამართლებ, ჭკუას ვარიგებ, ერთი სიტყვით ათასგვარი ბუნდოვანი აზრი მიტრიალებს თავში, რომელთაგანაც ამჟამად მხოლოდ ორია მტკიცედ გადაწყვეტილი:

პირველის თანახმად—რაც არ უნდა დამიჯდეს, ყაშა არ უნდა დავტოვო აქ. მეორის თანახმად—ძია შიოლას უნახავად არ უნდა წავიდე.

ამისათვის ცოტა მოშორებით მოვძებნე ისეთი ადგილი დაღამებამდე მოსაცდელად, სადაც სხვები ვერ შემამჩნევდნენ. იქიდან შესანიშნავად მოჩანდა ბინიდან გამავალი ყველა გზა და ბილიკი. მაგრამ მაშინ მე იქ სხვა აღარაფერი მაინტერესებდა გარდა ყაშასი და ძია შიოლასი...

დაიწყო ცხვრის ფარებმა საბალახოდ გაშლა. ბოლო დროს ჩემი ფარა გავიდა. ყაშა არც ერთ ფარას არ გაჰყოლია. ის ისევ დაბმულია და ყმუის.

ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე—ძია შიოლა დაეშვა ბინიდან თავქვე ჭალაზე. ჩემს პირდაპირ მოვიდა თუ არა, შეუმჩნევლად გავძვერი მისკენ და აცრემლებული მოვეხვიე...

— ძია შიოლ! გზა დამებნა ისევ, გზა! მითხარი რა ვქნა, საით წავიდე?

— იყუჩე, ბალღო, იყუჩე!—დამიყვავა ტკბილად.—ეგება შენთვის სჯობდეს კიდეც აქედან წასვლა.

— ყაშა, ძია შიოლ? ყაშას ვერ დავტოვებ აქ, მიშველე რამე.

— გული გაიმაგრე, შვილო, ყველაფერი მოხერხდება,—მანუგეშა ისევ მშვიდად.—საღამოს ერთხელ კიდევ შემოიპარე სადგომში, დილით ადრე ყაშასაც გაგაყოლებ ქურდულად და წახვალ საითაც გინდა.

ამ თანაგრძნობისათვის უზომო მადლობა გადავუხადე ძია შიოლას, მან რამდენიმე ხნის შემდეგ საჭმელი მომიტანა, კიდევ მანუგეშა და წავიდა.

მისი დარიგების მიხედვით იმ ღამეს ისევ ჩემს საწოლში შევიპარე. თენების წინ მართლაც მოვიდა ჩემთან ძია შიოლა, რაღაცა შეხვეული გახსნა და თან დააყოლა ჩუმად:

— ნაბადი მოგიტანე.

ამ გუდაშიც საგზალია ერთი კვირისა. აქვე დევს ტალ-კვესი და აბედი ერთად შეხვეული. ვინ იცის, გზაზე რა შეგხვდება, ცეცხლი ყოველთვის დიდი ნუგეშია კაცისა.

მე მადლობა გადავუხადე დიდი მოწიწებით და ჩამოვართვი ჩემთვის ნაწყალობევი გუდა-ნაბადი. ამის შემდეგ შევედით ყაშასთან დიდი სიფრთხილით, ისიც გავათავისუფლეთ სქელი ჯაჭვისაგან და გავედით ჭალაზე, საიდანაც დავადექით ჩვენს გრძელსა და უცნობ გზას.

— არ დაიბნე, ახლა პატარა აღარა ხარ, თხუთმეტი წლისა წინათ ომში გადიოდა,—კვლავ მანუგეშა ძია შიოლამ,—წადი, საითაც გული გეტყვის. შეგხვდება ვინმე კეთილი კაცი—ქვეყანაზე ყველგან ავი სულები ხომ არ ბუდობენ! გეშველება, როცა იქნება, კაცად იქცევი და, იცოდე, შენი ძია შიოლა არ დაივიწყო.

— არა, ძია შიოლა!—შევაყარე ცრემლიანი თვალებით მუდარა,—სანამ ცოცხალი ვარ, არასოდეს დაგივიწყებ...

ხელი ჩამომართვა და გადამეხვია.

გავყევი ხეობას თავქვე და ჩემი ყაშაც უკან ამედევნა, მივდივარ, მაგრამ არ ვიცი საით.

იმ წუთში თავქვე ჩვენთან ერთად მოხტოდა ის ნაკადულიც, რომელიც მე ძლიერ მიყვარდა იმ ბინის არემარეზე. ის ისევ უდარდელად მღერის და წკრიალებს, ლერწმები დაშრიალებენ ნაპირებიდან. ჩემი გული კი გაიძახის მძაფრად:

— დაგ! დუგ!

და ვფიქრობ:

ნეტავი მეც ნაკადული ვიყო, ან ეს ლერწამი, ან ის ნიბლია, რომ მათთან ერთად ასე მარტივად და უბრალოდ ვიარსებო ამ ქვეყანაზე...

ავედი იმ ადგილზე, სადაც სამი წლის წინ ძია შიოლა მოგვეგება მე და ჩემს წინამძღოლს, პირველად იმ ბინაში მისვლისას. ვდგავარ გაოგნებული და არ ვიცი

საით წავიდე. იმ წუთში ქვეყანაზე მხოლოდ ერთი გზა ვიცოდი—ჩემს ნასახლარსა და იმ ბინას შუა გაბმული, გზა. რომელმაც სამი წლის წინ იქ მიმიყვანა. მაგრამ იმ გზით წასვლა აღარ შეიძლებოდა.

## გოლა პაპა

ამ გზის არჩევანში რომ ვარ, გამიელვა უნებლიედ აზრმა: რა განსხვავებაა მაშინდელსა და ახლანდელ ჩემს მდგომარეობას შორის?

მაშინ სამი წლით პატარა ვიყავი, დედის შეკერილი ტანსაცმელი სრულიად ახალი მეცვა, მისი კალთების სითბო თითქოს უფრო მახსოვდა. ამ ადგილას, ქვაწვიას ბინისკენ პირწაღმა ვიდექი, თითქოს გზა ხსნილი მქონდა. სიკეთეს ველოდი.

ახლა, ამდენი ხნის გავლის შემდეგ, ისევ აქა ვდგავარ ქვაწვიას ბინისაკენ ზურგშექცეული, გაცილებით უფრო მოზრდილი, თექისძველაში და ქალამნის ჯღანებში გამოწყობილი.

ახლა ჩემს მდგომარეობას ერთი მხრივ ამსუბუქებს ის, რომ ყაშა მყავს თან—ერთგული, საიმედო თანამგზავრი—მაგრამ, რაც მთავარია, გზა არ ვიცი, ვდგავარ ერთ ადგილზე და ვფიქრობ საით წავიდე...

აქ დიდი ხნით გაჩერებაც საშიშია—შეიძლება ის ქვაწვია დაგვედევნოს, დაგვეცეს მოულოდნელად და ყაშა წაიყვანოს.

წინ ურიცხვი მიმართულებაა გაშლილი. მაგრამ ჩვენთვის რომელი სჯობია?—ეს აზრი მიტრიალებს თავში. ამ არჩევანში ისიც კი ვიგრძენი, თითქოს მე ორი გული მაქვს: „ჰო - გული" და „არა - გული". გზის ძებნაში როცა რაიმე აზრი მებადება, ერთი გული მეუბნება:

— ჰო, აქეთ წადი!

მეორე გული უარზეა და ამბობს:

— არა, აქეთ არ წახვიდე!

ვდგავარ და ვუცდი მათ განაჩენს. გავყურებ ხან ერთ გზას, ხან მეორეს, ხან მესამეს. ასეთი აზრიც კი დამებადა: წავიდე ისევ იმ გზით, რომლითაც მოვედი. ვნახო ჩემი ნასახლარი, გავიგო რა დაემართათ: კატა ალისას, კიპარისს, ალუბლებს, კომშის ხეებს.

მაგრამ იქ რაღასა ვნახავ, ვიღას რა გადარჩებოდა! ახლა ჩემთვის საჭიროა სხვა გზა, სწორი და ნათელი.

ესა ვთქვი თუ არა, ვისროლე სამი ქვა ხელუკუღმა ქვაწვიას ბინისაკენ და გადავდგი ნაბიჯი იმ ფართო ბილიკზე, რომელიც იქიდან რამდენიმე მანძილის შემდეგ ტყეში შედიოდა.

გზა, რომელიც მე ავირჩიე, საკმარისად გათელილია ურიცხვი ფეხისაგან: ეტყობა კვალი ადამიანისა, ცხენისა, ცხვრისა, მსხვილფეხა საქონლისა, ძაღლის მოდგმისა; აქა-იქ მჩნდება ფრინველის ოთხთითიანი ნაფეხურებიც სხვადასხვა ზომისა.

ახლა მე და ყაშაც მივყვებით იმ გზას და ვტოვებთ ჩვენს კვალს. სხვა დროს არც ერთი არსების კვალისათვის ყურადღება არ მიმიქცევია, ახლა კი ისე გავრთულვარ ნაფეხურებით, რომ შეუმჩნევლად გამივლია საკმაოდ დიდი მანძილი და მზეც კარგა წამომაღლებულა.

გზამ ასევე შეუმჩნევლად მადაც გამიღვიძა. ერთგან, პეშვისტოლა ველის პირზე ბექიდან წყარო გადმოჩხრიალებდა. იმ წყაროს ნაპირზე ჩამოფენილ ბრძამიანზე ჩამოვჯექი. იქვე გავშალე სუფრა და ამოვალაგე ძია შიოლას წყალობით გატენილ გუდაში რაც კი იყო...

ჭამას რომ შევუდექით, მერეღა შევნიშნე—პირდაპირ გზის გაღაღმა ბროწეულის ბუჩქი იდგა შუა გახეხილი ნაყოფებისაგან ტოტებდაზნექილი. იქვე, წყაროს ნაპირზე მწიფე პანტა შევნიშნე ჩამოყრილი. შევიხედე მაღლა და იქაც ტოტები იყო მისგან ჩამოწოლილი: ჩვენ სუფრას ეს ხილი ფერითაც დაამშვენებს და გემოთიც-მეთქი, გავიფიქრე და ორივე მოვკრიფე.

ჭამის შემდეგ ბუერას მივწვდი: მისგან მწვანე თასი უნდა მომეგრაგნა წყლის დასალევად და ისევ გადავიფიქრე. წყაროს ისეთი სუფთა, ლამაზი ნაპირები ჰქონდა, რომ იქიდანვე დავეწაფე მის თეფშისოდენა გუბეს.

ის გუბე ახლა ჩემთვის სარკედაც გადაიქცა—ამდენი ხნის განმავლობაში ჩემი თავი თითქოს პირველად-დავინახე და გამიკვირდა—პირზე და საულვაშეზე მუქი სვილისფერი ღინღლი მქონდა შემომაღლებული. ხშირი ქოჩორი შუბლზე რამდენიმე ხვეულად მეყარა.

გზამ, რომელსაც ჩვენ მივყვებოდით. გადაიარა ჯერ ერთი მთა, მერე მეორე, მესამე. გაიარა ხევები, ჭალა, მდინარე, ნაკადულები და ახლა ისე დავშორდით იმ დევის ბუნაგს, მთელი მილეთის ჯარიც რომ დაგვდევნებოდა, ველარ გვიპოვნიდა.

ამ მგზავრობაში მზემაც კარგა მანძილი გაიარა—საღამო ხანი მოახლოვდა. ვგრძნობ ღამე ტყეში ვრჩებით. ამოვარჩიე ერთი ლამაზი ადგილი და იქ დავბინავდი.

აშალამ მუხაა ჩვენი მასპინძელი, მის დაგრეხილ ფესვებზე გავშალე თივის საწოლი ჩემთვისაც და ყაშასთვისაც. ტყეში ბინდი რომ შემოიპარა, მივყუჩდი, ოცნებას გავყევი და ჩამეძინა კიდეც.

* * *

დილით მზის ამოსვლისას გამეღვიძა, ვისაუზმეთ და გავუდექით გზას. გზაზე ისევ ურიცხვი სხვადასხვა კვალი მხვდებოდა. ეს გზა ნამდვილად სოფლისკენ მიდის, არ დავიკარგებით მე და ყაშა-მეთქი, ვფიქრობ.

კარგა მანძილის გავლის შემდეგ ტყეში ბოლი გამოჩნდა. გზიდან პირდაპირ იქით გადავუხვიეთ და ვხედავ: ვეება წიფლის ქვეშ ცეცხლი ანთია, საკმაოდ მიმქრალი, მინელებული. თავმომწვარი მუგუზლებიდან სხვადასხვაფერი ბოლი იგრიხება და მაღლა ხის კენწეროებში იფანტება.

ცეცხლის ერთ მხარეზე. უბრალო ფიცრული ფარდული დგას. ფარდულქვეშ ხავსზე ნაბადია გაშლილი, ზედ მაზარა აგდია. ფარდულის ბოძზე ჭრელი ხურჯინი ჰკიდია, ხურჯინის თვალიდან ნაცრისფერ ხილის პარკს გადმოუყვია თავი. იქვე დაბლა ქალამნები

და მუქი ფერის წინდები ჰყრია. სულ ბოლოს, მაღლა, თავხისქვეშ შევნიშნე ქისა და ყალიონი. წიფლის ძირზე მიყუდებული ცელი და რაღაც სხვა. ჩემთვის უცნობი იარაღები...

ეტყობა. აქ ვიღაც ტყის მუშა კაცი ცხოვრობს,—გამიელვა აზრმა,—მოვიცდი და ვნახავ. შეიძლება გზა მიჩვენოს, ან მირჩიოს რამე-მეთქი.

მცირე ხნის შემდეგ ისიც გამოჩნდა: ჭაღარით შემოსილი, საშუალო ტანის მოხუცი იყო. მოსვლისთანავე სალამი მომცა და თან დააყოლა:

— საიდან გაჩნდი აქ, პატარა ბიჭო. ან საით მიდიხარ?

— იქით, სოფლისკენ,—ვუპასუხე, თან ხელი გავიშვირე, საითაც გეზი მქონდა აღებული...

— მაით სოფელს რა უნდა, შვილო, გზა ხომ არ აგებნა?—მითხრა გაკვირვებით და თან დამაცქერდა. მე მის სიტყვებზე ცრემლები წამსკდა და თანვე მივაყოლე ზლუქუნით:

— დი...დი ხანია გზააბნეული ვარ!..

— როგორ. შვილო, რა მოხდა, რა გაგიჭირდა?—მომვარდა შეწუხებული მოხუცი. ჩამომსვა იქვე, ხის კუნძზე, თვითონაც გვერდზე მომიჯდა და ყველაფერი მაამბობინა...

ჩემს ამბავს რომ ვუამბობდი, მოხუცის დამჭკნარ ღაწვებზე ცრემლი შევნიშნე, ის წმინდა ანკარა ცრემლები დედაჩემის შემდეგ პირველი იყო, რომელიც იმ უღრან ტყეში ჩემთვის დაიღვარა. მე რომ ამბის თხრობა დავამთავრე, გადამეხვია მოხუცი და მითხრა:

— იქნება ბედმა შეგვახვედრა. შვილო, ერთმანეთს. წამოდი ჩემთან და ისე შეგინახავ, როგორც ჩემს საყვარელ შვილიშვილს ვინახავდი!—თქვა ესა და ცრემლები უფრო მოეჯარა.

ამ სიტყვების შემდეგ მცირე ხნით ორივენი გავჩუმდით. ჩვენთან ერთად ტყეც გაირინდა: მისი ღრმა, ლურჯი სარკმლებიდან მზის შუქი კიდევ უფრო ჭარბად შემოიჭრა და აქა-იქ დარჩენილი ჩრდილებიც აკრიფა. შუქის მომატებაზე ფოთლებმა, ყვავილებმა, ბალახებმაც ფერი იცვალეს, ჩემი მასპინძლის ბინაც უფრო განათდა, თავმომწვარი მუგუზლებიდან ცისკენ აგრეხილი სვეტი ისევ ისე ზღაპარივით ზანტად მიიზლაზნებოდა.

— მაშ, ასე,—დაარღვია სიჩუმე მოხუცმა,—მე შენი ტოლები გოლა პაპას მეძახიან, უფროსები კი უბრალოდ—გოლას. დანარჩენს შემდეგ გაიგებ, თუ დარჩები ჩემთან, თუ არა და—ესეც საკმარისია.

ჩვენი შეხვედრა იმ ტყეში თითქოს ზღაპრის იმ ადგილსა ჰგავდა, ობოლს რომ ნატვრა უსრულდება ხოლმე.

იმ მოხუცის ცრემლების დანახვისთანავე გადავწყვიტე იქ დარჩენა. ახლა კი, ასე დაბეჯითებით რომ მითხრა—ჩემთან დარჩიო, ჰო, დავრჩები-მეთქი, ვუთხარი სიხარულით. ამის შემდეგ მასპინძელმა სუფრა გაშალა და თან დააყოლა:

— მოდი, შვილო, გავტეხოთ ჩვენი შეხვედრის პირველი ლუკმა. ყოველი კარგი გზა კეთილი გულითა და პურ-მარილით იწყება.



**მოხუცმა მოსვლისთანავე სალამი მომცა და თან დააყოლა:**

**— საიდან გაჩნდი აქ, პატარა ბიჭო, ან საით მიდიხარ?**

პურის ჭამაზე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ დროს ორივენი ვფიქრობდით. ცხადია, ამგვარი შეხვედრისას ასეც ხდება ხოლმე. მართალია, იმდენი ცრემლი დავღვარეთ, მაგრამ ერთიმეორეს მაინც ეჭვის თვალით შევყურებდით.

მე ვეკითხებოდი ჩემს თავს: ამ კაცს რომ გავყვე, ვინ იცის რა დამემართება, უარესი. თუ უკეთესი-მეთქი.

როგორც შემდეგ გავიგე. თურმე იმ ჩემს მასპინძელს კიდევ თავისი დარდი აწუხებდა და ასე ფიქრობდა: თუმცა, ეტყობა, ეს ბიჭი კარგი უნდა იყოს, მაგრამ. სახლში რომ წავიყვანო, გამიმართლდება მოლოდინიო?

თუ როგორ აგვიაბდა მე და გოლა პაპას ეს ფიქრები, ამას შემდეგ გაიგებთ.

როგორც გოლა პაპამ თქვა. მართლაც შვიდი დღე დავრჩით იმ ტყეში.

საუზმის შემდეგ მე და ყაშა ჩვენს მასპინძელს გავყევით სამუშაო ადგილზე. იქაურობა კიდევ უფრო მეტი სილამაზით კეკლუცობდა, ათასგვარ მოხატულობასთან ერთად ცალკე სხვადასხვა ფერის ჩილი იტაცებდა თვალს.

ჩვენს ოსტატს იქაც ჰქონდა ფარდული წვიმა-ქარისაგან დასაფარავად. იქვე რამდენიმე ვეება მუხა იყო მხართეძოზე წამოწოლილი, ტანდაჭრილი. დახეთქილი. ტოტებდამსხვრეული. აქა-იქ გროვებად ეყარა: მორი. ფიცარი, ნაკოდალი. ტოტი და ნაფოტი. ასეთი შრომის კვალი იქ საკმაოდ დიდ ადგილზე მოჩანდა.

როგორც შემდეგ გავიგე. გოლა პაპა იქ თურმე საკასრე მასალას ამზადებდა.

— ერთი თვეა. რაც ამ მუხებს ვებრძვი. —დაიწყო ოსტატმა,—სხვა დროსაც ხშირად ვყოფილვარ ამ ტყეში. ყოველთვის აქედან მიმაქვს მასალა. რამდენჯერმე ჩემი პატარა დათაც მყავდა აქა...

მოხუცის დამჭკნარ ლაწვებზე ახლაც ისევ ცრემლი შევნიშნე და უზომოდ შემეცოდა. მინდოდა გადავხვევოდი, მისი ჭაღარა დამეკოცნა. მაგრამ უცხოობამ მძლია და თავი შევიმაგრე.

ოსტატმა დაიწყო თუ არა მუშაობა. მეც ავმოქმედდი. მინდოდა მივხმარებოდი, მაგრამ მან მაშინვე შემაჩერა და მითხრა:

— არა შვილო. მე შენი მოხმარება არ მინდა. წადი და გაერთე.

მეც დავყევი მოხუცის ნებას, გავიჭერ ტყეში და ჩემი ყაშაც თან მომყვა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, თითქოს მაშინღა მომეხსნა რაღაც საშინელი სიმძიმე გულიდან. თავისუფლად დავიწყე სუნთქვა. ავედევნე ხევს, მდინარეს. ფერდობსა და გორაკს. დავდივარ და თან ჩემი ყაშა დამყვება. ზოგჯერ მივუბრუნდები, ვეხვევი კისერზე და ვეუბნები:

— ყაშა! იქნება რამე გვეშველოს, ყაშა!

ისიც შემომცქერის ანთებული თვალებით და კუდს მიქნევს. ამ ყოფით თურმე იმდენი ტყე შემოვირბინეთ. ისე შორს წავედით, რომ გოლა პაპას ცულის ხმა დრო და დრო ძლივსღა გვესმის.

დღის ბოლოს, როცა მზე ჩასვლაზე იყო, ერთი-ორჯერ ჩემი სახელი შემომესმა. არ ვიცი ნამდვილად დამიძახა გოლა პაპამ თუ მომეჩვენა, ეს კი, გავიგონე თუ არა, მაშინვე გავქანდი იქით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ეროვნული ბიბლიოთეკა




## თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი

# საკავშირო კონკურსი

## საჭადრაკო ეტიუდებისა და ამოცანების შედგენაში

ჟურნალი „პიონერი" აცხადებს თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო კონკურსს საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში.

კონკურსში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ყველა წევრს.

კონკურსი ეწყობა ორ და სამ სვლიანი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში. ამოცანა თუ ეტიუდი წარმოდგენილი უნდა იქნას დიაგრამაზე დახატული, დაწვრილებითი ამოხსნით. თან უნდა დაერთოს, აგრეთვე, შემდგენელის გვარი, სახელი, მამის სახელი. სკოლა, კლასი და მისამართი.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფასიანი საჩუქრები, საპატიო და საქები შეფასებები, რომლებიც გაიცემა მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით. კონკურსის მსაჯებად მოწვეულნი არიან თ. გიორგაძე და გ. ნადარეიშვილი.

კონკურსის მონაწილეებმა თავიანთი ნაწარმოებები უნდა გამოგზავნონ 1958 წლის 1 ოქტომბრამდე, მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 91, ჟურნალ „პიონერის" რედაქციას. კონვერტზე საჭიროა წარწერა. „საჭადრაკო კონკურსისათვის".

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის მეთერთმეტე ნომერში.



ორიენტაცია

# ბუნებასა და ტექნიკაში

ყოველი ცოცხალი არსება, რომელიც მოძრაობს, საჭიროებს ორიენტაციის უნარს, საჭიროებს აღებული მიზნისაკენ სწორი გზის გამონახვის უნარს. ეს თვისება ადამიანსაც სჭირდება ზღვაზე, ჰაერში, ხმელეთზე.

ეს თვისება სჭირდება ჭიანჭველასაც, გემსაც, მელიასაც, კოსმიურ ხომალდსაც.

აბა სცადეთ უცნობ ქალაქში, უცხო ქუჩებით გაიარეთ რამდენიმე კვარტალი: დარწმუნებული იყავით, რომ უკითხავად უკან გზას ვეღარ გაიგნებთ. მტრედი კი აგნებს, აგნებს აგრეთვე ძაღლიც. ძაღლი ყნოსვით აგნებს, მტრედი კი... მტრედი არ იციან რით აგნებს. მეცნიერები ბევრ სხვა შემთხვევაშიც უძლურნი არიან ამოხსნან ცხოველთა ორიენტაციის საოცარი უნარი.

ცნობილია, რომ ფრინველები შორეულ გადაფრენისას გარკვეული მარშრუტით სარგებლობენ, ეს გზა უმეტესად მდინარეთა კალაპოტებსა და ზღვის სანაპიროებს მისდევს, ესე იგი, სარგებლობენ ხმელეთის ორიენტირებით. ფიქრობენ, რომ ფრინველები ამ გზას იზეპირებენ, მაგრამ თუ ასეა, უცხო ქვეყანაში დაბადებულები როგორღა ბრუნდებიან? ამასთან ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც ფრინველები შორს, ზღვაში, ნარკოზით დაძინებულები, ან მბრუნავი გალიებით შეიყვანეს, ისინი სრულებით არ დაბნეულან და მშვიდობით დაუბრუნდნენ თავიანთ ბუდეებს. ამბობენ, თითქოს ფრინველებს დედამიწის მაგნიტური ველი ეხმარებოდეთ გაგნებაში, მაგრამ ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა, სინამდვილე კი ჯერ ცნობილი არ არის.

ანდა კიდევ მეორე საოცარი ამბავი: როგორც ცდებმა დაამტკიცა, ზოგიერთ პეპლებს 8-9 და 11 კილომეტრის სიშორეზეც კი შეუძლიათ ერთმანეთის მოძებნა. ამბობენ — პეპლები სუნით აგნებენ თავიანთ მოძმეებსო. მაგრამ ეს მეტად დაუჯერებელი ამბავია. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომ შავ. ზღვაში ფოთთან ჩაუშვა ერთი წვეთი იოდი და ოდესაში, ან იალტაში მისი ნიშნებით მიხვდესად იყო ეს ერთი წვეთი ჩაშვებული. სინჯეს დაეჭირათ პეპლების მიერ გაშვებული რაღაც საიდუმლო სხივები, მაგრამ უშედეგოდ. ასე რომ ეს საკითხიც დღემდე გამოცანად რჩება, მაგრამ არის სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც დღეს გადაჭრილი ან ნაწილობრივ გადაჭრილია.

აი, მაგალითად:

ტროპიკულ მდინარეებში ცხოვრობს პატარა თევზი მორმირუსი. საკვების ძებნაში იგი განუწყვეტლივ სილაში იქექება და თავი სულ შიგ აქვს ჩარგული. მიუხედავად ამისა, საოცარი სიზუსტით გრძნობს მტრის მოახლოვებას. მეცნიერებმა ახლახანს გამოარკვიეს, რომ თურმე ნუ იტყვით, ამ თევზს რადიოლოკატორი ჰქონია!

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს თვისება სხვა ცხოველებსაც აქვთ. რადგან ლოკაციის პრინციპებზეა თითქმის დამოკიდებული ღამურის ფრენა — ბრმა ღამურაც კი არასოდეს დაეჯახება რამეს. იგი თავისუფლად ფრენს ძაფით დახლართულ ოთახშიც. მაგრამ საკმარისია დავუხშოთ ყურები, ან მოვუსპოთ წრიპინის საშუალება, რომ იგი სავსებით უძლური ხდება.

ბევრ ცხოველს, მაგალითად ძაღლსა და მგელს, ზედმიწევნით განვითარებული ყნოსვა აქვს. ტყუილად კი არ იყენებენ ძაღლს კვალის მოსაძებნად. მელია კი, თავის მხრივ, არასოდეს დაჰკარგავს ქათმის კვალს.

ბუნება დაუსრულებლად მრავალფეროვანია და ორიენტაციის ყველა თვისება, რომელიც კი ცხოველებს გააჩნიათ, იმ პირობებთან შეხამებაა, რომელშიაც მათ უხდებათ ცხოვრება. ბევრი რთული ხელსაწყო, რითაც ჩვენ ვსარგებლობთ, უბრალოდ არ სჭირდებათ ცხოველებს, ხოლო ის უნარი, რომელიც მათი არსებობისათვის აუცილებელია, შერჩენილი და სრულყოფამდე დახვეწილი აქვთ.

ადამიანმა შექმნა ხელსაწყოები, რომელთაც დიდი უპირატესობა აქვთ ცხოველთა ორიენტირების საშუალებებთან. რადიოლოკატორი, მაგალითად, რადიოტალღებს თევზ მორმირუსისთვის მიუწვდომელ მანძილზე ავრცელებს. ღამურა თავის წრიპინს მხოლოდ რამდენიმე მეტრზე ავრცელებს, ხოლო ეხოლოტი თავის სხივებით ოკეანის ფსკერსაც კი სწვდება. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს ხელსაწყო, რომელიც შესცვლის, მაგალითად, ძაღლს. ჯერ არა გვაქვს აგრეთვე ხელსაწყო, რომელიც ჭიანჭველას მსგავსად სუნით გააგნებს, არ ვიცით რით სარგებლობენ პეპლები, როდესაც ერთმანეთს ეძებენ. ამ, და ბევრ სხვა საიდუმლოებათა ამოხსნა და მათი ხელსაწყოებში გადატანა მართლაც რომ მიმზიდველი და საინტერესო ოცნებაა.

შეიძლება თქვენ გხვდეთ ეს ბედნიერება, ბავშვებო.

















# მუმლი და მონადირე

სანდრო შანშიაშვილი

ნახ. ზ. ლეჟავასი

პოემა

ვის უნახავს ალაზანი,
ან ალაზნის ველი?
ლამაზი და თვალწარმტაცი
და უსაზღვროდ ვრცელი?
იმ ალაზნის ნაპირებზე
დიდი ტყეა მუხის;
შიგ შეხვალ და გაგახარებს,
აქრობს სევდა-წუხილს!

შენს მახლობლად ელვასავით
გამოკრთება შველი;
ნუკრი უკან თუ ჩამორჩა,
გზის გაკვლევას ჰშველის.

ნახავ ხოხბებს აფრენილებს...
კურდღლებს, მელა-ტურებს;
ციყვები თავს გაბეზრებენ
და აცქვეტენ ყურებს.
გაბერილი, გაბუტული
ბუ აჭყეტავს თვალებს;
ვგონებ, სძინავს დღისით-მზისით,
ტოტს კი უჭერს ბრჭყალებს!

სადღაც, ჩირგვში, შაშვი გალობს,
დასრიალებს ქორი;
უცბად ღიჭებს გამოარღვევს
გარეული ღორი.
შეგაკრთობს და შეგაშინებს,
თვითონ სადღაც გარბის;
ფეხს გადასდგამ, მიცოცავენ
თხუნელა და ზღარბი!
მხოლოდ ცაში ჩანს არწივი,
დალივლივებს ნელა;
ფრინველს ეძებს, თუ სხვა ცხოველს,
იმალება ყველა!

ალაგ-ალაგ მწვანიანზე
ჭაობია, გუბე;
აი, სწორედ ეს ადგილი
იყო მუმლის ბუდე!

* * *

და იქ ერთხელ მონადირე
მიდიოდა წყნარად.
მას სახელად ანდრო ჰქვიან,
არადელი გვარად.
ერთი მუმლი აედევნა,
პაწაწინა მწერი;
დაუსუსხა, დაუკბინა
თვალი, ყური, ყელი!
„ვაი-ვაის“ იძახოდა,
იფარავდა სახეს;
— უნდა მალე გავეცალო
ამ მუმლების მახეს!
თან ფიქრობდა: შემხვედრია
დათვი, მგელი, მელა!
ჩემი შიშით ცახცახებდნენ,
გამირბოდა ყველა!
მაგრამ, დახე, ამ ნამცეცამ
როგორ გამამწარა!

კარგ ადგილებს სანადიროდ
სულ არ მიმაკარა!
წინაპრები რომ მღეროდნენ:
„მუმლი მუხასაო,
გარს ეხვეოდაო,
მუხა დამძიმდაო,
წყალში ჩავარდაო,
მუმლი დაიხრჩო და
მუხა გადარჩაო.“
სჩანს! ვერაგი ნემსი-წვერა
სძულდათ მთა და ბარში;

მუმლის სახით გულისხმობდნენ
გარეშე მტერს მაშინ:
საქართველოს ესეოდა
უამინდო დარში.
და ეგონათ ჩვენს წინაპრებს,
იხრჩობოდა წყალში!

არა! წყალში არ იხრჩობა!
ის, პირიქით, იქ მრავლდება,
როცა წყალი გუბედ დგება
და მინდორი ჭაობდება!

მონადირემ თოფი დასდო,
აიკეცა კალთა;
გააკეთა გრძელი ცოცხი,
წნელით გადახლართა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პაწია ბუზანკალებს
ბრძოლა გაუმართა;
დარბოდა და ცოცხს უქნევდა,
სამჯერ მაღლა ახტა!...
ერთი მუმლი მართლა მოჰკლა,
მაგრამ დარჩა სახტად,
რადგან უცბად სხვა ათასი
უფრო მიეძალა;
დაიქანცა, ვერას გახდა,
ადგა, გაეცალა!

* * *

შინ რომ მოვიდა, იფიქრა:
ამას რა ეშველებაო?!
მთავრობას წიგნი მისწერა:
უბედურება ხდებაო!



მუშა ვერ გადის მინდორში,
მუმლისგან ისუსხებაო!
ალაზნის დიდი ფართობი
მუდამ უხნავი რჩებაო;
ციებას აჩენს ნაკბენი,
კაცი ლოგინში წვებაო!
თქვენ მალარიას უწოდებთ,
გვჭირდება მოშველებაო!
და თქვენი დახმარებაო“...

* * *

ორ წელიწადს არ გაევლო,
მოხდა საქმე სახახელო!
იმ ალაზნის ლამაზ ველზე,
ყველასათვის სასურველზე
ახმაურდნენ ტრაქტორები,
დიდი ექსკავატორები...

იმუშავეს მეტი თვეზე
და გათხარეს ღრმა არხები...
სიგრძეზე და სიგანეზე!
კოლმეურნე მუშაკებმაც
ერთმანეთსა მისცეს მხარი;
ზოგი წერაქვს იშველებდა...
მოიმარჯვა ზოგმაც ბარი!
მუშაობდნენ მოწაფენიც:
კაჭაჭს სწვავდნენ,
ჰყრიდნენ კუნძებს;
ყანისათვის ამზადებდნენ
საგაისოდ სახნავ ფუძეს.
დაუხიეს, დაუგლიჯეს
იმ ჭაობებს ხავსის უბე;
წყალი ველზე აღარ დარჩა,
სულ სამ დღეში დაშრა გუბე!

ერთიანად გაიჟლიტა
და მოესპო მუმლსა ბუდე!

* * *

აბა, ახლა წადი, ნახე
ის ალაზნის ველი;
კოლექტივის ვენახებში
ნახე ყურძნის რთველი!
აკიდოებს აგიჭრიან,
გაგართობენ ლექსით!
იქა გვაროზს, იქ მწიფდება
საზამთრო და ნესვი!
მზესუმზირას, მაღალ სიმინდს
გადგმული აქვს ფესვი!
ყოველ მხრიდან ბულბულების
ტკბილი სტვენა გესმის.

თუთა. ბალი დაშაქრული
ამძიმებენ ტოტებს;
თონეში პურს დააკრავენ,
ამოჰხდიან შოთებს!
გაგიტაცებს,
გულს მოგტაცებს
ატამი და ვაშლი!
მოსაწყვეტად,
ჩასაკბეჩად
მისკენ ხელებს გაშლი.

ბროწეული ტკბილიც, მჟავეც,
მოწითალო ხალით,
ნუში, კომში, ბურთა-ლეღვი,
ადრეულა მსხალი

მზე რომ მთიდან თავს ამოჰყოფს,
სხივებს უხვად გესვრის!
და კაკალი დაკროცილი,
ჭანჭური და თხილი,
როცა დგება შემოდგომა,
ყველგან ხილი! ხილი!
იმართება თამაშობა,
ზეიმი და ლხინი!
ტაშს უკრავენ...
ცეკვავს გოგო,
წრეს გარშემო უვლის.

სიცილი და კისკისია,
არის ჟრიამული...
გაიმარჯვა ხალხის შრომამ
და მოისპო მუმლი!

7556



# ნაოსნობა

## ძველ საქართველოში

წაიკითხავდით, ან უფროსებისაგან გაიგონებდით, რომ წინათ, ვიდრე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი გემები შეიქმნებოდა, ზღვებზე და მდინარეებზე ადამიანები ხის პატარა, იალქნიანი გემებით, ტივებით და ნავებით დაცურავდნენ. ნაოსნობას ადამიანებმა იმიტომ მოჰკიდეს ხელი, რომ ხმელეთით ყველა ქვეყანას ვერ უკავშირდებოდნენ. ნაოსნობამ კი დიდად შეუწყო ხელი ვაჭრობის განვითარებასა და ხალხებს შორის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის დამყარებას. ძველად, საქართველოშიც მისდევდნენ ნაოსნობას. ქართველ ნაოსნებს, განსაკუთრებით ლაზებს, მეზობელ ქვეყნებში უშიშარ და გამოცდილ ნაოსნებად თვლიდნენ.

ძველი კოლხები, რიონის გავლით, ბრტყელძირიანი გემებითა და ნავებით შავ ზღვაშიაც შედიოდნენ. გარდა ამისა, მდინარე რიონზე ნაოსნობას თევზჭერისთვისაც იყენებდნენ. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის მე-17 საუკუნის ცნობილი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა.

ნაოსნობა მტკვარზე რიონთან შედარებით უფრო არარეგულარულ ხასიათს ატარებდა. ძველი ბერძენი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების ცნობებით შავი ზღვიდან რიონში შემოსული ნავები უნდა შორაპანში დაეცალათ. ამის შემდეგ ტვირთს ურმებითა და ცხენებით გადაზიდავდნენ სურამის უღელტეხილზე და ჩაიტანდნენ დღევანდელ ხაშურთან. აქ მათ მტკვარზე უცდიდნენ ნავები, რომლებითაც შემდეგ ტვირთი მიქონდათ მცხეთაში, თბილისში, განჯაში და ზოგჯერ კასპიის ზღვაშიც. მტკვარზე განსაკუთრებით გავრცელებული იყო მეტივეობა. ქართველი მეტივეები ბორჯომსა და ახალციხეში დიდი ხეებისაგან, რაც საშენ მასალას წარმოადგენდა, კრავდნენ ტივებსა და ქვემოთ, თბილისისაკენ აცურებდნენ. ასე მარაგდებოდა ძველად საშენი ხის მასალით საქართველოს სოფლები და ქალაქები. ხის საშენ მასალასთან ერთად გლეხებს ტივებით თბილისის ბაზრებში ჩამოჰქონდათ ხილი, ხორცი, ბოსტნეული და ზოგჯერ საქონელიც მოჰყავდათ.

საქართველოში, ნაოსნობა მდინარე ჭოროხზეც ყოფილა განვითარებული. მდინარე ჭოროხით მთელი შავშეთის მოსახლეობა ოდითგანვე უკავშირდებოდა შავი ზღვისპირა ძველ ქართულ პროვინციებს: ლაზეთს, გურიას და აჭარას. შავშეთის მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასასაღებლად ბაზრებს სწორედ მდინარე ჭოროხით უკავშირდებოდა. გარდა ამისა, ჭოროხის ხეობის ძნელად სავალ გზებთან შედარებით მდინარე ჭოროხი უფრო საიმედო და იაფი იყო მიმოსვლისათვის, თანაც მას დიდი შინასამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ჭოროხისპირა მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ქვემო და ზემო მარადიდელების, ხებელების, კირნათელების, კატაფხიელების, ბორჩხელების თითქმის უმეტესი ნაწილი მენავეობას მისდევდ ა და მათი სახელ ი, როგორც საუკეთესო და უშიშარი მენავეებისა, საქართველოს შავი ზღვისპირა მოსახლეობაში კარგად იყო ცნობილი.

ჭოროხზე სამი სახის ნაოსნობა იყო განვითარებული: სამგზავრო,



ძველი ქართული ნავი.

შინასამეურნეო და სატვირთო. ჭოროხზე სატვირთო ნაოსნობა უფრო ინტენსიური იყო და ამის გამო მისი სანაოსნო გზაც შედარებით გრძელი იყო,—ართვინიდან მოყოლებული ბათუმის ჩათვლით. ჭოროხზე ნაოსნობა იმდენად მნიშვნელოვანი და მომგებიანი ყოფილა, რომ ინგლისელმა ვაჭარ-კომერსანტებმა გასული საუკუნის 70-იან წლებში გადაწყვიტეს გამოეყენებინათ იგი შავშეთ-არტანუჯ-იმერხევთან სავაჭრო გზად.

მენავეობას ტრადიციულად ზემოაღნიშნული სოფლების მკვიდრნი მისდევდნენ. მაგრამ ნავის მშენებლობა ყველა სოფელს როდი შეეძლო. ნავის მკეთებელი ოსტატები იყვნენ ხებელები, ქვედა მარადიდელები და ბორჩხელები. ქვედა მარადიდელი იშვიათად თუ მოკიდებდა ხელს ნაოსნობას, იგი მხოლოდ ნავებს ამზადებდა. ნავის გასაკეთებლად ჭოროხელი ოსტატები ხმარობდნენ წაბლსა და თხმელას, რადგანაც ხის ეს ორი ჯიში მკვრივია, მალე არ ლპება და თანაც საღებავს კარგად ისრუტავს.

ჭოროხის ნავი მდინარის სპეციფიურობის გამო ყოველთვის ბრტყელძირიანი იყო. ნავის ძირი ასე იმიტომ კეთდებოდა, რომ ჭოროხი არ არის ღრმა მდინარე და თანაც მისი სიღრმე მთელი მდინარების სიგრძეზე არათანაბარი და ცვალებადია. ბრტყელი ძირის გამო ნავი წყალში ღრმად არ ჯდება და თითქმის მის ზედაპირზე დაცურავს. ჭოროხის ნავი გარდა ძირისა, ზღვის ნავისგან მთელი კორპუსის მოყვანილობითაც განსხვავდებოდა. ჭოროხის ნავს, როგორც წინა, ისე უკანა ნაწილი აწეული და წამსხვილებული აქვს. ნავის შეკვრის შემდეგ მის თავსა და ბოლოში მენავეთა საჯდომი სკამები გაიმართებოდა. ნავის წინა ნაწილში თოკის გამოსაბმელ ორკაპა რკინის პალოს ამაგრებდნენ. იქვე ორი წყვილი ნიჩაბი იყო მორგებული ჭიგოებზე. ნავის ბოლოში კი საჭე იყო მოწყობილი. ნავს ორი საჭე ჰქონდა. ჭოროხის ნავისათვის ასეთი ორმაგი საჭე აუცილებელი ყოფილა, რადგანაც ჭოროხის სწრაფ დინებაში ნავის მართვა-დამორჩილება მხოლოდ ორი საჭით შეიძლებოდა.

ნავის შეკვრის შემდეგ ფიცრებს შორის დარჩენილ ნაჭრეტებს გაფისული სელის ძენძით ამოტენიდნენ. და ბოლოს მთლად გაფისავდნენ. ძველი ბერძნების ცნობით ფისს გემთმშენებლობაში კოლხებიც იყენებდნენ. შეფისვით მთავრდებოდა ნავის მშენებლობა, რჩებოდა მხოლოდ ნავის შეღებვა. როგორც კი ნავი კარგად შეხმებოდა, მას რამდენიმე ფერად წაესმებოდა შავი საღებავი.

მდინარე ჭოროხის ნავი საშუალოდ 100-150 ფუთს ზიდავდა; თუ მდინარე მოდიდებული იყო, მაშინ 200 ფუთის გადატანაც შეეძლო.

ბრტყელძირიანი ნავის ეკიპაჟი ოთხი მენავისაგან შედგებოდა. ნავს მეთაური ჰყავდა და ნავის მართვა-მესაჭეობაც მას ეკისრებოდა.

როგორც უკვე ვთქვით, ნაოსნობა ჭოროხზე ქალაქ ართვინიდან იწყებოდა და მთავრდებოდა ბათუმში, სადაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულამდე არსებობდა ჭოროხის ნავების ნავსაყუდელი. მაგრამ ძირითადი სანაოსნო ხაზი ბათუმამდე თავდებოდა, რადგანაც ღელვის შემთხვევაში ბრტყელძირიან ნავებს ზღვაში შესვლა არ შეეძლოთ. მუდმივ მოქმედი მარშრუტი იყო ართვინიდან მოყოლებული ვიდრე კაპანის თავამდე. ართვინიდან, როდესაც ჭოროხი მოდიდებული იყო, ნავებით კაპანის თავამდე დაახლოებით სამ-ოთხ საათში ჩადიოდნენ.

თუ გავითვალისწინებთ ამ მარშრუტის სიგრძეს (დაახლოებით 50 კმ.), მაშინ გამოდის, რომ ჭოროხელი მენავეები არც თუ ისე ნელა დაცურავდნენ ჩანჩქერებით აღსავსე, გაუთავებელ მისახვევ-მოსახვევებიან და კლდოვან ნაპირიან მდინარეში. მდინარის ჩვეულებრივი დინებისას კაპანის თავიდან უკან, ართვინამდე ჩასვლას 15-16 საათს უნდებოდნენ.

ნავების უკან სვლა ართვინისაკენ ჭოროხის მარცხენა ნაპირიდან იწყებოდა, კაპანის თავის მოპირდაპირე მხრიდან. უკან ცურვის დროს ნავში რჩებოდა მხოლოდ მეთაური, დანარჩენები კი ნაპირზე გადადიოდნენ და რუსი «ბურლაკების» მსგავსად ნავს საბელით ეწეოდნენ.

ძველ საქართველოში მტკვარზე, რიონზე და ჭოროხზე განვითარებული იყო ძირითადად ორი სახის მენავეობა: შინასამეურნეო და სააღებმიცემო სატვირთო. ვაჭრებს, მენავეებს და მეტივეებს ბათუმში, ფოთში, გორში, მცხეთაში, თბილისში და სხვაგანაც, გასაყიდად და გადასაცვლელად მოჰქონდათ: სიმინდი, ხორბალი, ხე-ტყე და სხვა სახის საქონელი. ჩვენი ქვეყნის მდინარეებზე არსებულ მენავეობას თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონია და ამან საქართველოს კულტურულ-ეკონომიურ აღმავლობას თავისებურად შეუწყო ხელი.

**თ. ჩიქოვანი,**

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



მგზავრების გადაყვანა ჭოროხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ალავერდაშვილი

ნახ. რ. ცუცქირიძისა

# ზოჩიას ნაამბობი

ოცდათხუთმეტი წლის კაცი იყო, ატლეტური აგებულებისა. სახეზე, კისერსა და ხელებზე ბრინჯაოს ფერი დაჰკრავდა. მკერდისმიერი ხმა და გულღია, ალალი სიცილი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა— ჩუმს პირდაპირ იჯდა კუპეში.

მიჰქროდა მატარებელი. უკვე გვიან იყო, მგზავრები ძილის თადარიგს შეუდგნენ, მას კი ეტყობა არ ეძინებოდა, უსაქმოდ ჯდომაც მოსწყინდა, და საუბარს შევყევით. ეს კაცი სწორედ იმ რაიონის მცხოვრები აღმოჩნდა, სადაც მივემგზავრებოდი. დამისახელა თავიანთი კოლმეურნეობა და დაწვრილებით მიამბო იქაური მდგომარეობა.

— სკოლა ხომ კარგი გაქვთ სოფელში?—შევეკითხე თანამოსაუბრეს.

— როგორ არა, ახლა კაი დიდი სკოლა გვაქვს. გარდა ამისა—საექიმო უბანი, აფთიაქი, მაღაზია, ბიბლიოთეკა. ახალგაზრდები სტადიონის გამართვასაც შეუდგნენ. სხვათაშორის, კარგი მოჭიდავე ბიჭები გვყავნან, შარშან პირველ ადგილზე გამოვიდნენ რაიონულ შეჯიბრებებში.

— რა გვარია თქვენი სკოლის დირექტორი?—კვლავ სკოლაზე ჩამოვუგდე სიტყვა.

— ჩვენი სკოლის დირექტორი ადრე კაპანაძე იყო, მაგრამ შარშან სადღაც გადაიყვანეს სამუშაოდ და მის ადგილზე ახალი კაცი დანიშნეს. მგონი, დავითი ჰქვია, გვარი კი, მართალი გითხრათ, არ ვიცი.

— ერიჰა! როგორც ჩანს, სკოლას სათანადო პატივისცემით არ ეპყრობით, თორემ თქვენი სკოლის მუშაკებს როგორ არ უნდა იცნობდეთ!

— შე კაი კაცო, თითო კლასში სამ-სამ წელიწადს ვიჯექი და მე თუ არ ვიცნობ ჩვენი სკოლის მასწავლებლებს, მაშ ვინღა უნდა იცნობდეს მათ?!—ღიმილით მომიგო მან.

— ეგ როგორ?

როგორ და ასე: პირველ კლასში ორ წელიწადს დავდიოდი, მეორეში, მგონი სამჯერ დავრჩი, როგორც იყო, მეოთხეს მივაღწიე, მაგრამ ისეთი ამბავი შემემთხვა, რომ მას შემდეგ ახლოსაც აღარ გავკარებივარ სკოლას... ეჰ, ამის გამო შემდეგში ბევრიც ვინანე, მაგრამ რაღას ვუშველიდი.

— მაინც რა შეგემთხვათ ისეთი, რომ სწავლაზე ხელი აგაღებინათ?—დავინტერესდი და სმენად გადავიქეცი.

ჩემმა თანამგზავრმა, როგორც წესი, ჩაახველა და დაიწყო.

2

— მე ბოჩიას მეძახიან.—დაიწყო მან და ისე მომეჩვენა, თითქოს ამ სახელს განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი.—თუმცა დაბადების მოწმობასა და სხვა საბუთებში მიწერია, რომ მე ნამდვილად ბიკენტი არისტოს ძე ბუაძე ვარ, მაგრამ ბიკენტის უკვე კარგა ხანია აღარავინ მეძახის. ყველგან, შინ თუ გარეთ, დიდი და პატარა ბოჩიას მიწოდებს. ჩვენს სოფელში კი არა, მთელს რაიონში, ვისაც უნდა ჰკითხოთ, ვინ არის ბოჩიაო, ყველა მოგახსენებთ ჩემს ვინაობას.

არ ვიცი, პირველად ვის მოუვიდა აზრად ჩემთვის ამ სახელის დარქმევა; ვერც იმას გეტყვით, როდის და რასთან დაკავშირებით შემირჩიეს ასეთი სახელი, ოღონდ ის კი ვიცი, რომ „ბოჩია“ იმდენად შევიფერე და შევიგუე, რომ შემდეგში, თუ ვინმე ბიკენტის დამიძახებდა, ყურსაც აღარ შევიბერტყავდი. მერე და მერე ნამდვილი სახელი სათაკილოდაც მიმაჩნდა.

სახელი ბიკენტი, ალბათ იმიტომ უფრო შევიძულე, რომ გაგონილი მქონდა, მეზობელ სოფელში ბიკენტი კვიციანიძე ჭკუიდან შეიშალა და ათასგვარ სისულელეს სჩადისო.

— ბოჩია ნამდვილი ვაჟკაცური სახელია,—ვარწმუნებდი საკუთარ თავს, როცა ცოტა წამოვიზარდე,— მერე და, რამდენი ლექსი შეუწყეს მას ჩვენმა სოფლელებმა:

— „ბოჩია, ბოჩია, ჩვენი უბნის ყოჩია.“

— „ბუაძიანთ ბოჩია ვერვის შეუბოჟია“.

ყოველ დღე მესმოდა ეს ლექსები და მეც თავმომწონედ ვღიღინებდი ხოლმე მათ გულში.

ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ და ჩვენს სოფლელებს ცოტა არ იყოს, საფუძველი ჰქონდათ ჩემი ასეთი „ოდებით“ შემკობისა. პატარაობიდანვე ერთი ძვალმსხვილი და კუნთმაგარი ყმაწვილი ვიყავი. ჩემს ტოლებს კი არა, ორი-სამი წლით უფროს ბიჭებსაც ვერეოდი ჭიდაობასა და ჩხუბში.

3

ხომ ასეთი ძალა და უნარი შემწევდა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ არც ფიზიკური შრომა მეხალისებოდა და სწავლაზედაც ადრევე ამიცრუვდა გული. უკვე ცამეტი წელი მისრულდებოდა და მეოთხე კლასამდე ძლივს მივაღწიე მაშინ, როცა ჩემი ტოლები მეშვიდე კლასში სწავლობდნენ.

ეს იმის ბრალი იყო, რომ დიდი და პატარა, შინაური თუ გარეული მუდამ ქება-დიდებას ასხამდა ჩემს ძალღონესა და მოხერხებას. ეს ნაადრევი ხოტბა თავში ამივარდა და ყალბი წარმოდგენა შემექმნა ცხოვრებაზე, ყველას ზემოდან დავუწყე ყურება.

ჩვენი სოფლის ფალავნობას აღარ დავჯერდი და ოცნებით ჯერ რაიონის, ხოლო შემდეგ მსოფლიო ფალავნად წარმოვიდგინე თავი. ვეღარავინ მიძლებდა ბოჩიას სახელი მთელს ქვეყნიერებაზე გრგვინავდა...

მასწავლებელი რომ გაკვეთილს გვიხსნიდა, მე ამ დროს ოცნებით, ვინ იცის, სადღა არ დავფრინავდი საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი. ბოლოს, იქამდეც კი მივედი, რომ სხვადასხვა ქვეყნის ფალავნებს ცალი ხელით ვეჭიდებოდი და მაინც ვიმარჯვებდი...

გართობისა და დროის მოკვლის მიზნით მივდიოდი სკოლაში. როგორც ხნით, ისე ტანით ყველა მოსწავლისაგან გამოვირჩეოდი. გეგონებოდათ, მამლაყინწა შეურევიათ წიწილებშიო, ისე ვჩანდი ამ ბავშვებში. ჩემს უფროსობას კარგადაც ვიფერებდი. ბავშვებთან მუდამ ღირსეულად მეჭირა თავი. ნაძალადევად დაბოხებული ხმით ვესაუბრებოდი მათ, ვცდილობდი დიდი კაცის გამომეტყველება მიმეღო, სიარულის დროს ხელებს უსათუოდ უკან შემოვიწყობდი, უბრალო რამეზე არ გავიცინებდი, ადვილად არაფერზე გავვოცდებოდი. ვიცოდი, ჩემისთანა „სახელოვან ფალავანს“ ამჩატება არ შეჰფეროდა, რაინდული სიდარბაისლით თავს ვიწონებდი.

ასეთი საქციელით მართლაც ვიმსახურებდი ბავშვთა მოწონებას. ისინი მოხიბლულნი იყვნენ ჩემი ჭიდაობის ფანდებით, ღონით, სიმარდით და როგორც კი შეეძლოთ, ყველაფერში მბაძავდნენ.

4

ის დღე არასოდეს დამავიწყდება.

დილას ჩვეულებრივზე ადრე გამეღვიძა. მზე ჯერ არც კი იყო ამოსული, რომ სკოლაში წასასვლელად დავფაცურდი. ვჩქარობდი. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, გუშინ დომენტი მასწავლებელმა გამოგვიცხადა: ხვალ გაკვეთილებზე თბილისიდან ჩამოსული რევიზორი დაგვესწრება და არ შემარცხვინოთ, ყველანი კოხტად ჩაცმულ-დახურული და სუფთად დაბანილ-დავარცხნილი მოდითო. თან ისიც დაგვარიგა, გავლილი მასალა გაგვემეორებინა.

გავლილი მასალის გამეორებაზე, რა თქმა უნდა, თავი არ შემიწუხებია, მაგრამ მასწავლებლის დავალების პირველი ნაწილი მაინც მინდოდა შემესრულებია და სარკესთან ამიტომაც ვიყავი გაწამაწიაში.

ჩვენს სკოლაში ყველაზე დიდი მე ვარ, რევიზორს უსათუოდ თვალში მოვხვდები და ეგებ კოხტად მოვეჩვენო-მეთქი,—ვფიქრობდი ჩემთვის, როცა სკოლაში წასვლის თადარიგს ვიჭერდი.

ისე, კაცმა რომ თქვას, დომენტი მასწავლებელს არც კი უნდა ეწყინოს, სკოლაში დღეს სულაც რომ არ მივიდე — უეცრად გამიელვა თავში გზადმიმავალს.

ვიცი, თვითონ არაფერს შემეკითხება, მაგრამ იმ რევიზორს რომ ღმერთი გაუწყრეს და გამოცდა დამიწყოს, ხომ ყველაფერი დაიღუპება!—ამის გაფიქრებაზე ნაბიჯი შევანელე და საკუთარ თავთან მუსაიფი განვაგრძე:

— ჰა, იქნებ სულაც ის აჯობებდა, რომ დღეს სკოლა-

ში წასვლის ნაცვლად ისევ ხოდაბუნზე გამერეკა თხები და იქ კოწიასა და კალენიკესთან შაირობით მეჯერა გული?—აქ შევჩერდი და აქეთ-იქით მიმოვიხედე. თავში მრავალნაირი აზრი მიტრიალებდა, ვყოყმანობდი, დაოჩნებული ცხენივით ერთ ადგილს ვტკეპნიდი.

— არა, ყველაზე კარგი ის იქნება, რომ დღეს შორიდან ვუყურო სეირს. როგორც კი გაკვეთილები დაიწყება, ჩვენი კლასის ფანჯარასთან მივიპარები და ყველაფერს მოვისმენ და დავინახავ, გადავწყვიტე საბოლოოდ და პირი ისევ სკოლისაკენ ვქენი.

5

გზადაგზა სხვანაირად მესახებოდა დღევანდელი მოსალოდნელი სიამოვნებაც და უსიამოვნებაც. ჩემი წარმოდგენით, ქალაქელი სტუმარი უსათუოდ მაღალი უნდა ყოფილიყო, ხმელ-ხმელი, თეთრწვერა მოხუცი, რომელიც სათვალეებიდან ყველაფერს ხედავდა და ადვილად კითხულობდა სხვის ფიქრებსა და აზრებს. ბოხი ხმა უნდა ჰქონოდა, ჩვენი სკოლის გახეთქილი ზარი რომ ჟღარუნობს, სწორედ ისეთი, მოღუშული სახისა უნდა ყოფილიყო ზღაპარში გაგონილ გაუცინარ ხელმწიფესავით, უკარები და ამპარტავანი. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ის კეთილი განზრახვით არ მოდიოდა ჩვენს სკოლაში, დომენტი მასწავლებლისა და ბავშვების შერცხვენა და დამცირება ედო გულში და ამიტომაც ვცდილობდი, როგორც კი შეიძლებოდა, დამახინჯებულად, ავის მაუწყებლად წარმომედგინა ეს დაუპატიჟებელი სტუმარი.

იყო, შარაგზიდან ზოსიმეს კაკლის ხისკენ გადავუხვიე, რათა გაკვეთილის დაწყებამდე მის ძირში მომეცადა, რომ ამ დროს დომენტი მასწავლებელიც გამოჩნდა. იღლიაში ჩვეულებრივ ამოეჩარა თავისი პორთფელი, რომელიც რვეულებითა და წიგნებით ჰქონდა მუდამ გატენილი, და სკოლისაკენ მიეშურებოდა. მოულოდნელობისაგან ადგილზე გავშეშდი.

— სკოლის გზა ხომ არ შეგეშალა, ბიჭო?—ღიმილით შემეკითხა იგი.

— არა, მასწ...—ამოვილუღლუღე და გავწითლდი.

— შე კაი კაცო, მასწავლებელს თუ პატივს არ სცემ და შეხვედრისას ქუდის მოხდით არ ესალმები, აპრილის ამ თბილ დილას მაინც გაუწიე ანგარიში!—მრავალმნიშვნელოვნად მითხრა დომენტიმ.

მე ქუდი მაშინვე მოვიშვლიპე და მკერდამდე ჩამომივარდა თმააბურძგნული თავი.

რაღას ვიზამდი! წელმოწყვეტილივით გავლასლასდი წინ მიმავალი მასწავლებლის უკან.

6

სკოლის ეზოში მოსწავლეებს თავი უკვე მოეყარათ. ჩვეულებრივი ჟივილ-ხივილის ნაცვლად, ისეთი ჩუმი და გაბმული ზუზუნი იდგა, თითქოს აქაურობას ფუტკრის გუნდი შესევიაო. ყველა სუფთად გამოწყობილიყო. ზოგი სულმოუთქმელად კითხულობდა, ზოგი ზეპირად რაღაცას ჰყვებოდა, არითმეტიკულ მაგალითებს ჩაჰკირკიტებდა, ან ისტორიულ თარიღებს იზეპირებდა. რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინში თითოეულს სახეზე სერიოზული მზრუნველობა აღბეჭდოდა. დაძაბულობა და ნერვიულობა იგრძნობოდა ირგვლივ.

გაკვეთილების დაწყებას ბევრი აღარ აკლდა, რომ სკოლის წინ მსუბუქი ავტომანქანა გაჩერდა. იქიდან ორი კაცი გადმოვიდა და სამასწავლებლოსაკენ გაეშურა. მოსწავლეები აჩოჩქოლდნენ. ეზოში ზუზუნი შეწყდა და ახლა წარამარა გაისმოდა მისალმების შეძახილები.

— სააალამიიი!—ხმის გაგრძელებით წარმოთქვამდნენ პირველკლასელებიც.

— ეს ხომ ჩვენი რაიონის განათლების უფროსია. ეგ შარშანაც იყო ჩვენი სკოლის შემოწმებაზე, მაგრამ ის მეორე კაცი ვიღაა?—შევეკითხე მეოთხეკლასელ ლავრენტის, როცა სტუმრები აივნის კიბეებზე ადიოდნენ.

— ვინაა და თბილისიდან ჩამოსული რევიზორია,—ამიხსნა ლავრენტიმ და ისევ გაფაციცებით განაგრძო ორადმოკეცილი გეოგრაფიის წიგნის კითხვა.

— ნიძლავს ჩამოვალ, თუ მაგ კაცს თბილისელობისა რაიმე ეტყობოდეს!—ჩავიდუდუნე უკმაყოფილოდ, რაკი ვხედავდი, რომ ჩემი ვარაუდი არ მართლდებოდა,—ჩვენთვის რომ ვთქვათ, ჩვენი განათლების უფროსი ვითომ რითი ჩამოუვარდება ახლა მაგას? როგორ, ჩაცმულობით არის ნაკლები თუ გარეგნობით?

— გარეგნობას რა ჭკუა აქვს?—ჩაერია ლაპარაკში ჯემალი,—საქმე ის არის, როგორი ცოდნისაა. ჩემის აზრით, ეგ კაცი ძალიან კულტუროსანი უნდა იყოს, ვერ ხედავდი, როგორ გვესალმებოდა ყველას? მაგასთან შერცხვენას სიკვდილი ჯობია!

ჯემალისაგან ასეთი შენიშვნის გაკეთება არ მესიამოვნა, ავიმრიზე და ამ მეტიჩრობას ძვირადაც დავუსვამდი, მაგრამ სწორედ მაშინ გაისმა ჩვენი სკოლის გაბზარული ზარის ხმა და ყველანი კლასებისაკენ გავემართენით.

7

პირველმა გაკვეთილმა მშვიდობიანად ჩაიარა. სტუმრები ამჯერად მესამეკლასელებს ესწრებოდნენ და სხვა კლასებში არ შემოსულან. დომენტი მასწავლებელმა ჩვეულებრივად ჩაგვიტარა ქართული ენის გაკვეთილი და, როცა საშინაო დავალება მოგვცა, გაგვაფრთხილა: მეორე გაკვეთილი რუსული გვაქვს, სტუმარი შეიძლება დაგვესწროს და თქვენ იცით, როგორ მასახელებთო.

— რას შეგვეკითხება, პატივცემულო მასწავლებელო? — ჰკითხა ერთმა.

— ისეთს არაფერს, რაც არ გისწავლიათ,—უპასუხა დომენტიმ.

შესვენებაზე მთელი სკოლის მოსწავლეები მესამე-კლასელებს შემოეხვივნენ.

— რა გკითხათ?

— როგორ იძლეოდა შეკითხვებს?

— გული ხომ არავიზე მოუვიდა?—დააყარეს შეკითხვები.

მესამეკლასელები ყველას აღტაცებით უამბობდნენ, რომ სტუმარი ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანი იყო, როგორიც ჩვენი რაიონის განათლების განყოფილების გამგე, და შეკითხვებსაც სავსებით გასაგებად იძლეოდა.

ჯ

რუსული ენის გაკვეთილიც დაიწყო.

დომენტი მასწავლებელი სტუმრებს საკლასო ოთახში შემოუძღვა. ისინი მოგვესალმნენ, ღიმილით აგვათვალ-ჩაგვათვალიერეს და სულ ბოლო მერხზე მოთავსდნენ, ჩემს გასწვრივ.

არავითარი წვერები, სათვალეები, თუ „გაპეწენიკებული“ ტანსაცმელი არ აღმოაჩნდა თბილისელს. დაახლოებით ორმოცი წლის კაცი იქნებოდა, საშუალო ტანისა, არც გამხდარი და არც მსუქანი. ჩემი ყურადღება მიიპყრო მისმა სუფთად გაპარსულმა თეთრმა სახემ, ლამაზად შეკრეჭილმა ულვაშებმა. გვერდზე გადავარცხნილმა წაბლისფერმა თმამ და კეთილად გამომზირალმა თვალებმა.

კლასში რა ხდებოდა, ამას ყურადღებას არ ვაქცევდი. სულ იმას ვნატრობდი, რომ თბილისელი სტუმარი ავი აღმოჩენილიყო. გაკვეთილზე რაიმე ფათერაკი მოეხდინა, მოსწავლეები განსაცდელში ჩაეყარა და ამ განსაცდელიდან მათი დახსნის საშუალება მე მომცემოდა.

ვიდრე მე ასეთი „საომარი მზადებით“ ვიყავი გართული, დომენტი მასწავლებელს ახალი მასალაც აეხსნა და მოსწავლეებს უკვე გრამატიკაში ავარჯიშებდა. როგორც ჩანდა, სტუმრები კმაყოფილი იყვნენ ჩვენი მასწავლებლისა, გაკვეთილში ერთხელაც არ ჩარეულან და დომენტის საუბარს თუ მოსწავლეთა პასუხებს სიამოვნებით ისმენდნენ.

გაკვეთილის დამთავრებას ათი წუთი-ღა აკლდებოდა, რომ თბილისელი დომენტისთან მივიდა და რუსულად რაღაც სთხოვა.

— სიამოვნებით!—ღიმილით უთხრა დომენტიმ და განზე გადგა.

სტუმარი ბავშვებს რუსულად გამოესაუბრა. ეკითხებოდა გვარს, სახელს, წლოვანებას, სადაურობას და სხვა ასეთ რამეებს.

— ახლა კი ცუდად არის საქმე,—გავიფიქრე და „საასპარეზოდ გამზადებული რაინდი“ უცბად წავხდი.

ემანდ, ღმერთი არ გაუწყრეს და მეც არაფერს შემეკითხოს-მეთქი, სულ მუჭისტოლალა გავხდი, მოვიბლუნძე და მერხში ისე ჩავძვერი, რომ მუხლის თავებით ლამის იატაკს ვეხებოდი.

მოსწავლეები, ჩემდა სასიხარულოდ, უშეცდომოდ პასუხობდნენ და ამაყად შეჰყურებდნენ დომენტი მასწავლებელს, რომელიც კმაყოფილი იღიმებოდა.

— „პრავილნო!“ „მალადეც!“ —გაიძახოდა სტუმარი.

— ყოჩაღ, ოთარ! კარგი ხარ, შოთა! – აღტაცებული



მე ქუდი მაშინვე მოვიშვლიპე და მკერდამდე ჩამომივარდა თმააბურძგნული თავი.

ვიმეორებდი მეც გულში, როცა სტუმარი მათ პასუხებს მოიწონებდა.

— აბა, დაფასთან გამოდი, გოგონავ!—მოულოდნელად მიმართა სტუმარმა ლიანას.—ასეთი წინადადება დამიწერე:

Плотник идет на работу.

ლიანამ უშეცდომოდ შეასრულა ეს დავალება.

— კარგია! ახლა ქართულად მითარგმნე!

გოგონამ უკანასკნელი სიტყვები მაშინვე გადათარგმნა, მაგრამ ამ „პლოტნიკს“ ვერაფერი მოუხერხა და თვალები დამნაშავესავით გააპარა დომენტისაკენ.

— ვინ თარგმნის ამ სიტყვას?—მიმართა სტუმარმა კლასს.

ზოგმა რა თქვა, ზოგმა—რა, მაგრამ პირველი სიტყვის სწორად გადათარგმნა მაინც ვერავინ მოახერხა.

კლასში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. დომენტი მასწავლებელს მოუსვენრობა დაეტყო.

როგორც კი დაფაზე სიტყვა „პლოტნიკს“ თვალი მოვკარი, მაშინვე გამახსენდა ერთი ამბავი.

სამი წლის წინათ, ახალი სახლის აშენებას რომ ვიწყებდით, მამაჩემმა საიდანღაც მოიყვანა რუსი ხელოსანი, რომელსაც ჩვენი ოჯახის წევრები და ახლო მეზობლები „პლოტნიკ თედორეს“ ეძახდნენ.

„პლოტნიკი თედორე“ კარგი ხელოსანი გამოდგა, სწრაფად მუშაობდა და თან ან უსტვენდა, ანდა რაღაცას ღიღინებდა რუსულად. ქართულს ცოტ-ცოტათი ამტვრევდა, ხუმრობა უყვარდა. ბოჩიას ნაცვლად მე „ბოჩკას“ მეძახდა.

— ბოჩკა, ცხალი მომიტანე!

— ბოჩკა, ეგ ფიცარი მომაცოდე!

— ბოჩკა, მამაშენს არაკი არის?—არ მეშვებოდა იგი და მეც ისე მივეჩვიე, რომ, როცა სამუშაო დაამთავრა და ჩვენი სოფლიდან მიდიოდა, კარგა მანძილზე გავყევი გულდაწყვეტილი და განშორებისას კინაღამ ცრემლები წამომცვივდა.

და, აი, ახლა დაფაზე სწორედ მისი სახელი ეწერა და საჭირო იყო ამ სახელის ქართულად თარგმნა.

— აბა, კარგად დაფიქრდით, მოიგონეთ, ეს სიტყვა უსათუოდ გეცოდინებათ, მაგრამ იბნევით,—გვამხნევებდა სტუმარი.

ვხედავდი, რომ ნატვრა მისრულდებოდა, განსაცდელში ჩაცვინული ბავშვების დახსნის უტყუარი საშუალება მეძლეოდა. ჩემი წინასწარმეტყველება და წინათგრძნობა მართლდებოდა: ავაზაკივით ჩასაფრებულმა თბილისელმა ახლა უყელა საცოდავ ბავშვებს და შავ დღეს აყრიდა.

მერხზე გავიმართე, წამოვყელყელავდი და ხელი ავწიე, მე მათარგმნინეთ-მეთქი.

დომენტი მასწავლებელმა, როგორც კი ჩემი აწეული ხელი დაინახა, იმ წამსვე თვალით მანიშნა, დაუშვი ხელიო. მაგრამ მე ისევ გაშეშებული მეჭირა და პასუხის გაცემის ნებართვას მოვითხოვდი.

ჩვენმა მასწავლებელმა კარგად იცოდა, რომ რუსულში მე სრულებით არაფერი გამეგებოდა. უფრო მეტად სწორედ ამ საგანსა და წერითს სამუშაოებში ვღებულობდი „ორებს“. იფიქრა, სისულელე არაფერი წამოროშოსო და, რაკი ხელს დაჟინებით ვიშვერდი, შეუმჩნევლად მომიახლოვდა და ზურგით ამეფარა, სტუმარმა არ დაინახოსო.

მაგრამ უკვე გვიან იყო. სტუმარმა ჩემს ხელს თვალი შეასწრო, ახლოს მოვიდა, დომენტის ჩემზე მიუთითა და უთხრა:

— დომენტი იპოლიტოვიჩ, მგონი, ამ ყმაწვილს სურს სიტყვა „პლოტნიკის“ გადათარგმნა.

— აჰ, უკაცრავად! ჰკითხეთ, ბატონო!—მიუგო მასწავლებელმა და განზე გადგა.

— რა გვარი ხარ?—რუსულად შემეკითხა სტუმარი.

— ბუაძე!—ვუპასუხე სასწრაფოდ.

— ასე, ყოჩაღ! „პლოტნიკი“ როგორ იქნება ქართულად?

— თედორე, ბატონო!—მივახალე მაშინვე და თვალი თვალში გამომწვევად გავუყარე.

კლასში ერთი წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა პირდაღებული მომჩერებოდა.

ალბათ, სტუმარმა იფიქრა, კარგად ვერ გავიგონეო, ყური მომიახლოვა და „პლოტნიკი“ ხელახლა მათარგმნინა. მე, რა თქმა უნდა, ზუსტად გავიმეორე ჩემი პასუხი.

ახლა კი კლასში ჯერ თავშეკავებული ფრუტუნი გაისმა, მაგრამ, სტუმარმა რომ გულიანად გადაიხარხარა, მას ყველა აჰყვა და ოთახში ისეთი დგანდგარი დადგა, გეგონებოდათ ჭერი ჩამოინგრაო. მომეტებული სიცილისაგან განათლების განყოფილების გამგეს თვალებზე ცრემლიც კი შევნიშნე.

მე ვერ ამეხსნა ამ არეულ-დარეულობის მიზეზი და ვგრძნობდი, სიბრაზისაგან სახეზე როგორ მეკიდებოდა ცეცხლი, სუნთქვა მეკვროდა, გული მეკუმშებოდა.

როცა სიცილით გული იჯერეს, თბილისელმა სტუმარმა მხარზე მეგობრულად დამადო ხელი და მითხრა:

— იქნებ აგვიხსნა „პლოტნიკი“ ქართულად რატომ არის მაინცა და მაინც თედორე?

— იმიტომ, რომ ჩვენი სახლი რუსმა პლოტნიკ თედორემ ააშენა!—ავუხსენი გულწრფელად, ღრმად დარწმუნებულმა ჩემი პასუხის სისწორეში.

მაგრამ „განმარტებამ“ კიდევ უფრო მეტი გნიასი და ალიაქოთი გამოიწვია. ბავშვები არავითარ ანგარიშს აღარ მიწევდნენ, სიცილით იჭაჭებოდნენ, ფეხებს იატაკს უბაკუნებდნენ, ავი სულებივით ხორხოცობდნენ.

უკვე საბოლოოდ განადგურებული ვიყავი.

* * *

ნაშუადღევის სამი საათი სრულდებოდა. მატარებელმა რომელიღაც სადგურს მიაკივლა.



ხტუმარმა რომ გულიანად გადაიხარხარა, მას ყველა აჰყვა და ოთახში ისეთი დგანდგარი დადგა, გეგონებოდათ ჭერი ჩამოინგრაო.

— შორაპანი!—ხმამაღლა დაიძახა ამ დროს ჩვენი ვაგონის გამცილებელმა და ფარანი მოიმარჯვა.

ზოგიერთი მგზავრი წასასვლელად აფუსფუსდა.

— დანარჩენი ჩემთვის გასაგებია: შეურაცხყოფილმა სკოლა მიატოვეთ და დღესაც შემომწყრალი ხართ მასზე,—ვუთხარი ბოჩიას, როცა მატარებელმა გზა კვლავ განაგრძო და ახლად შემომატებულმა მგზავრებმაც თავიანთი ადგილები დაიკავეს.

— მართალს ბრძანებთ, ჩემო კარგო!—მიპასუხა მან. — ის გაკვეთილი დამთავრდა თუ არა, დამფრთხალი ნადირივით გამოვვარდი გარეთ და სახლამდე ისე მივრბოდი, უკან ერთხელაც არ მიმიხედავს.

ეს იყო და ეს, მას შემდეგ სკოლას ახლოსაც არ გავკარებივარ.

მეორე დღეს, საღამო ხანს, ჩვენთან დომენტი მასწავლებელი მოვიდა, თან მოიტანა ჩემი წიგნების ჩანთა, რომელიც წინა დღით სკოლაში დამრჩენოდა, გვერდით მომიჯდა და მამაშვილურად დამიწყო დარიგება:

— მერე რა მოხდა, რომ გუშინ რუსული სიტყვა ვერ თარგმნე? ხომ ნახე, არც ერთმა მოსწავლემ არ იცოდა მისი ქართული მნიშვნელობა. ეს არც ისე სათაკილოა, როგორც შენ გეჩვენება,—გული გამიკეთა მასწავლებელმა, ერთ წამს ჩაფიქრდა და დინჯად განაგრძო:

— დამიჯერე, შენისთანა თავმომწონე და მარჯვე ახალგაზრდისათვის სირცხვილი ის იქნება, უსწავლელი რომ დარჩე, თითისტოლა ბავშვებმა რომ გაჯობონ სკოლიდან გამოქცევა არ გარგებს.

მასწავლებლის ნალაპარაკევი გულზე მომხვდა, მისი აზრები ჭკუაში მიჯდებოდა, ვგრძნობდი, რომ ეს კეთილი კაცი ცამდე მართალი იყო, მაგრამ ჩემს თავს ველარ მოვერიე, პატივმოყვარეობის გრძნობებმა გონება დამიბნელეს და სწავლაზე ხელი სამუდამოდ ამალებინეს.

საწყალმა არისტომ, მამაჩემმა, ბევრი იშფოთა, რამდენჯერმე სახრესაც წამოავლო ხელი, მაგრამ, რომ ვერაფერს გახდა, გამწარებულმა ბოლოს ეს-ღა მითხრა:

— გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასაო! როგორც გნებოს, ისე მოიქეც, შვილო, ოღონდ, ბოლოს მე არ მაგინო, რატომ არ მასწავლაო..

მამაჩემის სიტყვები შემდეგ ბევრჯერ გამახსენდა, როცა უსწავლელობის გამო გამჭირვებია, მაგრამ „გვიანღა იყო თითზე კბენანი“.

დაამთავრა ბოჩიამ თავისი თავგადასავალი და კიდეც მივატანეთ იმ სადგურს, სადაც ერთად უნდა ჩავსულიყავით.

ფანჯრის მინიდან დილის ცისკარი გვესალმებოდა.



# უცნაური კრისტალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. კარბელაშვილი

ალბათ იცით რა შორს არის დედამიწიდან მთვარე, 380.000 კილომეტრი აშორებს მას ჩვენი პლანეტიდან. თუ თბილისიდან მოსკოვში რეაქტიული თვითმფრინავი 2 საათში ჩადის, მთვარემდე მას 380 საათი, ესე იგი 15 დღე-ღამეზე მეტი დასჭირდება.

მთვარეზე მოწყვედრილმა კოსმიურმა მოგზაურმა რომ ასანთი გაჰკრას, დედამიწაზე დადგმულ ხელსაწყოს შეუძლია შეიგრძნოს ეს. 380.000 კილომეტრზე გამოყოფილი ასანთის ენერგია აქ დადგმულ ხელსაწყოზე ახდენს ზეგავლენას! მართლაც რომ საოცრებაა! ნუ იფიქრებთ, რომ ეს ფანტაზიის ნაყოფი იყოს. ასეთი უჩვეულოდ მგრძნობიარე ხელსაწყო უკვე დაამზადეს ინჟინრებმა, თუმცა მთვარეზე ადამიანების გაფრენა ჯერ კიდევ შორეული ამბავია.

ამ ხელსაწყოს უმთავრესი ნაწილია შესანიშნავი კრისტალები—ნახევრადგამტარები.

ვთქვათ, მზის ჩასვლისას ტყის პირას სხედხართ მეგობრებთან ერთად, აშწვანებული მინდორ-ველის სილამაზით სტკბებით. მერე, როცა ჩამობნელდა, კარავში შეძვედით, საუბარი გააბით. ბიჭებო, — ამბობს ერთი, — დღეს ხომ თბილისში საერთაშორისო შეჯიბრებაა ფეხბურთში, აბა, ტელევიზორი ჩავრთოთ! — და თქვენმა მეგობარმა მარცხენა ჯიბიდან წიგნაკის ოდენა ყუთი ამოიღო, პაწაწინა ღილაკს შეეხო: ყუთის ზედა ნაწილი განათდა. უცბად გაისმა ფეხბურთის მარშის ხმები და თქვენ გაფაციცებით დაუწყეთ ყურება ეკრანზე გამოჩენილ ფეხბურთელებს.

ასეთი ტელევიზორის დამზადებას ფიქრობენ რადიოსპეციალისტები დღეს, შესანიშნავი კრისტალების — ნახევრადგამტარების საშუალებით.

ამავე კრისტალების საშუალებით ამერიკელმა ინჟინერმა გააკეთა 280 გრამიანი რადიომიმღები. საკმარისია იგი რამდენიმე ხანს გავაჩეროთ სინათლეზე, რომ შემდეგ, სინათლით მიღებული ენერგიის ხარჯზე, სიბნელეში 500 საათი იმუშაოს. მას ბატარეა არ სჭირდება.

მოსკოველმა ფიზიკოსებმა გააკეთეს ხელსაწყო, რომელიც ნახევარ წამში ზომავს ადამიანის ტემპერატურას. ამ ხელსაწყოს თოვლის ფიფქის ტემპერატურაც კი შეუძლია გაზომოს.

ამავე კრისტალებით მეცნიერებმა დედამიწიდან მთვარისკენ მიმართეს უხილავი სხივი. ეს სხივი დაეჯახა მთვარეს, აირეკლა მისგან და დედამიწას დაუბრუნდა. სხივის „მოგზაურობის" დამთავრება შეიტყო სპეციალურმა აპარატურამ.

რას წარმოადგენენ ეს შესანიშნავი კრისტალები? საიდან გაჩნდნენ ისინი? რატომ ჰქვიათ მათ ნახევრადგამტარები?

როცა ვამბობთ სიტყვა „კრისტალი", ბევრ თქვენთაგანს თვალწინ წარმოუდგება ლამაზი. სწორი ფორმის ქვები. ყველამ როდი იცის, რომ კრისტალური აგებულებისაა ყველა მაგარი სხეული, თუნდაც მაგიდის დანა, შაქარი, მარილი, ძვალი.

თავდაპირველად, როცა ელექტროობა პირველად შეიჭრა ცხოვრებაში, კრისტალები დაყვეს ელექტროდენის გამტარებად და არაგამტარებად. გამტარები ბუნებაში ბევრია. მაგალითად, საკმარისია შეხედოთ ელექტრონათურას, რომ დაინახოთ ყველაზე აშკარა დენის გამტარი. ეს ვოლფრამის წვრილი ძაფია, რომელიც ასე კარგად ანათებს სიბნელეში. ასეთი თვისება ყველა ლითონს აქვს. ზოგიერთი ნივთიერება კი არაგამტარია. ელექტროდენს არ ატარებს, მაგალითად ნათურის მინის კოლბა, რეზინის მილი და სხვა.

კრისტალების დენის გამტარ და არაგამტარად დაყოფა — დიდი ხნის განმავლობაში მართებულად ითვლებოდა. მაგრამ შემდეგ მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ გამტარებისა და არაგამტარების გარდა არსებობენ მათი შუალედი თვისებების მქონე სხვა კრისტალები... ასეთ კრისტალებს ნახევრადგამტარი კრისტალები უწოდეს. ნახევრადგამტართა მაგალითად შეიძლება დავასახელოთ გრაფიტი, იგი დენს ატარებს, მაგრამ გაცილებით ცუდად, ვიდრე ლითონი.





არ იფიქროთ, თითქოს ბუნებიდან აღებული ნახევრადგამტარები პირდაპირ გამოიყენება ტექნიკაში. მათ გულმოდგინე დამუშავება ესაჭიროება და ამიტომ არის, რომ ნახევრადგამტარებს ჩვენ ჯერჯერობით ხშირად ვერ ვხვდებით ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თითქმის ყველა თქვენგანს აქვს სახლში რადიომიმღები. იგი საკმაოდ მოზრდილია და თანაც მძიმე. ეს იმიტომ, რომ მასში მოთავსებულია ბევრი რადიომილაკი, რომლებიც დიდ ადგილს იკავებს. და აი, ნახევრადგამტარებმა ქიშპობა დაუწყეს რადიომილაკებს, თითქოს ეუბნებიან: ჩვენ პაწაწინები ვართ, ადგილიც ნაკლები გვჭირდება და გზა დაგვითმეთო. განა მართო ეს? კრისტალურ მილაკებს სხვა უპირატესობაც აქვთ, არ გააჩნიათ მავთულის ძაფები, ასე ხშირად რომ იწვება რადიომილაკებში, ამიტომ ნახევრადგამტარები თითქმის „მარადიულნი“ არიან და მათი სამსახურის ვადა განუსაზღვრელია.

რადიოტექნიკაში ნახევრადგამტარების გამოყენებამ გამოიწვია მცირე ზომის რადიომიმღებებისა და რადიოგადამცემების დამზადება. ახლა სპეციალისტები „მუდმივი კალმის“ დამზადებაზე ოცნებობენ. მას ერთ თავში მიკროფონი ექნება, მეორეში ტელეფონი. ქალაქგარეთ ხართ გასული, უცებ ჯიბიდან წრიპინი გესმით. ეს—გამოძახებაა. „მუდმივ კალამს“, ყურთან მიიტანთ. თურმე ძმამ, კავკასიონის ქედზე რომ მოფრინავს თვითმფრინავით, გადაწყვიტა გაგიზიაროთ შთაბეჭდილებები მყინვარწვერის სილამაზეზე.




მარტო რადიომილაკებს არ ექიშპებიან ნახევრადგამტარები. ამ საოცარ კრისტალებს, მზის სხივების ზეგავლენით, ყოველგვარი გარდაქმნების გარეშე შეუძლიათ ელექტროენერგიის მოცემა.

თუ რამდენად საჭირო და ძვირფასია ადამიანისათვის ენერგია, ეს ყველამ კარგად იცის. ადამიანი გამძაფრებით ებრძოდა და დღესაც ებრძვის ბუნებას ენერგიის მისაღებად.

ენერგიის ყოველგვარი წყარო დედამიწაზე—ქარი, წყალი, ქვანახშირი, ტორფი—მზემ შექმნა. მაგრამ რატომ არ შეიძლება მზის სხივებმა უშუალოდ მოგვცენ ენერგია?

ნახევრადგამტარებმა აქაც გამოიჩინეს თავი.

წარმოიდგინეთ ბრტყელი, მაგიდის სიდიდის ჩარჩო, რომელშიც ჩაწყობილია პატარა. რკინიგზის ბილეთის ოდენა ფირფიტები. ისინი ნახევრადგამტარებისაგან არიან დამზადებულნი. ეს ჩარჩო, ეზოში, მზის სხივების ქვეშ დადგეს და მან უშუალოდ ელექტროენერგია მოგვცა! ეს ფანტაზია არ არის. მზის ბატარეის ყოველი კვადრატული მეტრი ზედაპირი იძლევა 120 ვატ ელექტროენერგიას. ასეთი სიმძლავრე საკმარისია 3 საკერავი მანქანის მოქმედებაში მოსაყვანად.

გამომგონებლების გამოანგარიშებით 1,2 მეტრი სიგანის და 4,5 მეტრი სიგრძის მქონე მზის ბატარეას, რომელიც სახლის სახურავზე გაკეთდება, შეუძლია ამ სახლის მობინადრეებს მიაწოდოს ელექტროენერგია განათებისა და გათბობისათვის, მაცივრებისათვის, მტვერმსრუტავისა და რადიოსათვის. მაგრამ შეიძლება ზოგიერთმა იკითხოს: ღამე ხომ არ ანათებს მზე, როგორღა გამოიმუშავებს მზის ჩასვლის შემდეგ ბატარეა ელექტროენერგიას?

ღამით საჭირო ენერგიას ბატარეა დღის განმავლობაში დააგროვებს თავისებურ ყულაბაში—აკუმულატორში.

ინჟინრები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. მათ ავტომობილს მოხსნეს ბენზინის ძრავა და მის ადგილას ელექტროძრავა მოაწყვეს. შემდეგ, მანქანის სახურავზე დაამაგრეს მზის ბატარეა და მავთულებით შეუერთეს ელექტროძრავას. როგორც კი მზემ ავტომობილს დახედა, იმავე წუთს ავტომობილმა მოძრაობა დაიწყო. ავტომობილი მოძრაობდა ყოველგვარი საწვავის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ მზის სხივების საშუალებით.

რასაკვირველია, ავტომობილი ძალზე სუსტი სიმძლავრისა იყო. „ციდან“ მიღებული ენერგია „მოსკვიჩის“ სიმძლავრეზე 30-ჯერ ნაკლები აღმოჩნდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მზის სხივებმა აამოძრავეს ავტომობილი, რომელსაც მზემობილი უწოდეს.

თუ მზის ბატარეებით დაიფარება უდაბნოების. ან გამოუყენებელი სტეპების ფართობები, ადვილად წარმოსადგენია რა დიდი სიმძლავრეების გამომუშავებას შეძლებენ ნახევრადგამტარები. მართლაც, 3—4 კვადრატულ კილომეტრის ფართობზე გაშლილ მზის ბატარეას ისეთი ელექტროენერგიის მოცემა შეეძლება, რასაც გამოიმუშავებს კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგური.

საბჭოთა მეცნიერები და ინჟინრები მუშაობენ რათა სრულყოფილი და მოსახერხებელი გახადონ მზის ბატარეები, აქციონ ისინი უჩვეულო ჰიდროელექტროსადგურებად, რომლებსაც არასოდეს არ დასჭირდებათ არც ქარი, არც წყალი და არც საწვავი.

კიდევ მრავალ საოცარ თვისებებს ამჟღავნებენ კრისტალური ნახევრადგამტარები.

ისინი ახლო მომავალში დაეხმარებიან ადამიანებს—განახორციელონ არაერთი ოცნება. პაწაწინა კრისტალები კიდევ ერთხელ დაამტკიცებენ დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის სიტყვებს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ეპოქაში, როცა მანძილი თავბრუდამხვევი ფანტაზიიდან სინამდვილემდე საარაკო სისწრაფით მცირდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კატა მიაუ და თაგვი ბამბატოლე

ალსენი ბურე

(აფრიკული ზღაპარი)

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

ეს იყო მაშინ, როცა ცხოველებიც ლაპარაკობდნენ.

ერთხელ მშედელი თაგვი—ბამბატოლე მიწის თხილის სასესხებლად კარს მიადგა კატა მიაუს.

— დეიდა მიაუ,—შეევედრა მას,— ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან.

— თქვი, გეთაყვა, გისმენ,—მიუგო კატამ.

— მე იმისთვის შეგაწუხეთ,—განაგრძო ბამბატოლემ,—რომ ერთი ვედრო მიწის თხილი გთხოვოთ სესხად. პირობას გაძლევთ, ვალს მოსავლის აღებისთანავე დაგიბრუნებთ. ხომ მოგეხსენებათ, დიდი ოჯახის პატრონი გახლავარ და შიმშილით კუჭი გვიხმება, საცაა დავიხოცებით.



აგერ, ექვს თვეზე მეტია, ჩვენს პირში ლუკმა არ ჩასულა. მხოლოდ თქვენა ხართ ჩვენი მხსნელი და მწყალობელი, დეიდა მიაუ, თქვენს ამაგს არასოდეს დავივიწყებთ.

— შენ თვითონ იცი, ბამბატოლე, რომ ბუნებით კეთილი გულისა ვარ. შენი თხოვნის შესრულება ჩემთვის ძნელი არაა, მაგრამ, თავადაც კარგად მოგეხსენება, რომ პირობის შეშლას ვერ ვიტან. სესხის დაბრუნების ვადა თვითონვე დააწესე; მაგრამ, თუ ამ დროისთვის არ დამიბრუნებ, იცოდე, გაწყენინებ.

— ბალღებს გეფიცებით, ვალს დროზე დაგიბრუნებთ.

ბამბატოლეს მეტი თხოვნა-ვედრება აღარ დასჭირვებია. დეიდა მიაუმ გამოუტანა მიწის თხილი, რომლითაც თაგუნამ დამშეული ოჯახი დააპურა.

გავიდა ხანი. დადგა მოსავლის აღების დრო. კატა მიაუ ტომრით მიადგა ბამბატოლეს.

— ჩემო ბამბატოლე,—თქვა მან,— ის რაღაც ერთი ვედრო თხილი რომ გასესხე, იმისთვის შეგაწუხე.

—ძალიან აჩქარებულხართ! მოსავლის აღება ეს-ესაა დაიწყო... მოითმინეთ! ვალის ასაღებად თვითონ გეახლებით, სესხის გასასტუმრებლადაც თვითონ მოვალ.

ორი თვის შემდეგ დეიდა მიაუ კვლავ მიადგა თაგვის სოროს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამჯერად იგი ძალიან უკმეხად მიიღეს.

— ჩემო ბამბატოლე, მითხარი მაინც როდის ფიქრობ სესხის დაბრუნებას?! მგონი ვალის გადახდის დრო დაგავიწყდა და შესახსენებლად მოვედი.

— თუ ქალი ხარ, ნუ მაწუხებ. ვითომ არ იცოდე, რომ უმუშევარი ვარ და ჩვენი ოჯახი მხოლოდ იმით ცხოვრობს, რასაც ბეღლებიდან მოიპარავს. მიწის თხილი კი ჯერ არ დაუბინავებიათ ბეღლებში. მაშ, რა უფლების ძალით მოითხოვ ჩემგან ვალს? საერთოდ, თუ მაინცდამაინც ასე წავიდა საქმე, კაცმა რომ თქვას, შენი რა მმართებს? მოწმე გყავს თუ ხელწერილი გაქვს?

— მოწმე, მართალია, არ მყავს, მხოლოდ შენ იცი და მე, რომ ერთი ვედრო მიწის თხილი გმართებს. თუ სესხის დაბრუნებას არ აპირებ, პირი-

დაპირ მითხარი. რადგან შენისთანა უმადურებს სასამართლო მოარჯულებს.

— სადაც გსურდეს, მიბრძანდი. მე შენი არაფერიც არ მმართებს. ბოლოსდაბოლოს, თუ ძალიან გააჭირებ საქმეს და სიტყვას შემიბრუნებ, დავუძახებ ჩემ შვილებს და სუყველა ერთად ადგილზევე გაგაბრტყელებთ.

ბრაზისაგან ცოფმორეული მიაუ მაშინვე გაეცალა ბამბატოლეს სოროს. ცხადია, მას იქვე შეეძლო შური ეძია უსინდისო მევალეზე. მით უფრო, რომ იმ დღეს სწორედ მგელივით მშიერიც იყო, მაგრამ ამჯობინა ჯერ სამართალი ეძია. ამიტომ სიბრძნით სახელგანთქმულ მამლაყინწას — დიკს მიმართა:

— საჩივრით მოვედი შენთან. თაგვი ბამბატოლე უარს მეუბნება სესხის დაბრუნებაზე. მთელი წელიწადია ერთი ვედრო მიწის თხილი მართებს ჩემი, მაგრამ თავსაც არ იწუხებს გადახდისათვის.

— ეს რა მესმის! წამოიძახა მამლაყინწამ, — ჩემ ცხოვრებაში არ გამიგონია, რომ კატა თაგვს უჩიოდეს. ჩავლე კლანჭები კისერში და მაგის სამართალიც ის იქნება.

— კისერში კლანჭის ჩავლება რა შუაშია, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, — მიუგო მიაუმ. მე სამართალს ვეძებ. თუ შევსანსლე, ეგ ხომ ძალმომრეობა იქნება! წამო, თუ დრო გაქვს, ახლავე გაგვასამართლე, თუ არა და საქმის განხილვა სხვა დროისათვის გადადე.

— იცი, რა გითხრა, — უპასუხა დიკმა, — გეტყობა, საქმე გამოგლევია, მოცლილი ხარ, ვიღაცა ხარ, ამ ჩემს კარავს გაეცალე და საითაც გინდა, იქით აიკარ გუდა-ნაბადი. მე სადაური მოსამართლე მნახე!

— მაშ, ეს არის შენი უკანასკნელი სიტყვა? შენ მოსამართლე არ ბრძანდები? იცოდე, ამ საქმიდან ნისკარტგაწმენდილი ვერ გამოხვალ!

ის იყო, მიაუ დიკის სახლიდან გამოვიდა, რომ გზად მეფის დიდი ვაცი — ბარაკა შემოეყარა. კატა შეევედრა.

— მე და თაგვ ბამბატოლეს სერიოზული დავა გვაქვს. გთხოვთ მედიატორობა იკისროთ.

როცა საქმის ვითარება გაიგო, ბარაკამ უპასუხა:

— ყური მიგდე, გენაცვალე, თუ მაგ უსუსურ წრუწუნასაგან თავი ვერ დაგიცავს, მართლა ცუდად წასულა შენი საქმე და ეგ არის. აქ მე უკვე ვეღარაფერს გიშველი.

— თქვენ ვერაფერს მიშველით? მაშ, კარგი! მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენც ინანებთ!

— დაიკარგე, შე უჯიშო. შენა! ინანებო! ნეკისოდენა თაგვს ვერ მოერია და მე მემუქრება. გაეთრიე აქედან.

კატა მიაუ ავაზაზე უსწრაფესად მოწყდა ადგილიდან. მაგრამ წინ შეეფეთა მეფის დიდი მოზვერი სამბა, რომელსაც სთხოვა:

— მე და თაგვ ბამბატოლეს საშინელი ჩხუბი მოგვივიდა. ვალს არ მიბრუნებს ის უმადური. ფათერაკი რომ ავიცილოთ, გთხოვთ, სასწრაფოდ გაარჩიოთ ჩვენი საქმე.

საქმის ვითარება რომ შეიტყო, სამბამ უპასუხა:

— მართლა ჭკუათხელი უნდა იყო, რომ ისეთ პატარა თაგუნას, როგორიც ბამბატოლეა, უჩივლო, და ისიც შენოდენა ფისომ. შენი მთავარი საკვები ხომ სწორედ თაგვია! შენგან არ მიკვირს! გადასანსლე მთელი თავის ჩხუბითა და დავიდარაბით!

— მე რჩევა-დარიგებას კი არ გთხოვთ, ბატონო სამბა. მე მხოლოდ საქმის განხილვასა გთხოვთ, მისი შესანსლვა რომ მდომოდა, თქვენც აღარ შეგაწუხებდით.

— შე საცოდავო, — უთხრა სამბამ, მართლა თუ ჩემგან ელი სამართალს, დიდხანს მოგიწევს ლოდინი. მე მოსამართლე არ გახლავარ და, საერთოდ, ადე, აიბარგე გზიდან, თორემ გაგჭყლეტ ჩლიქებით!..

და კატა მიაუ წავიდა თაგვ ბამბატოლეს საძებრად.

სწორედ იმ დროს, სოფელში, მეფის დედა ავად შეიქნა. იგი სამეფო კარავში იწვა, გაჩაღებულ კერასთან, ტახტზე, რომელსაც კოღოებისაგან თავდასაცავად ძვირფასი ფარდა ჰქონდა გადაფარებული. რადგან აუტანელი ტკივილები აწუხებდა, დედაბერი ლოგინიდან ჩამოცოცდა და კერასთან მიბობღდა.

როცა მიაუმ ამ კარავს გვერდით ჩაუარა, პირისპირ შეეფეთა თაგვი ბამბატოლე. კატა მძლავრი ნახტომით ეძგერა მას, მაგრამ ბამბატოლე გაუ-



**— ეს რა მესმის! — წამოიძახა მამლაყინწამ, — ჩემ ცხოვრებაში არ გამიგონია, რომ კატა თაგვს უჩიოდეს.**

სხლტა და დედოფლის სადგომის სახურავზე ავარდა. გაედევნა კატაც. წამოეწია და სახურავის ძგიდეზე შექმნეს ჭიდილი. დაუცდათ ფეხი. დაასკდნენ ფარდას, ფარდა გაფხრიწეს და ანთებულ ნაკვერცხლებზე დაეცნენ. ფარდას ცეცხლი მოეკიდა და ხელმწიფის საცოდავი დედა, რომელსაც განძრევა არ შეეძლო, ცოცხლად დაიწვა. მიუხედავად ამ საშიშროებისა. მიაუმ მაინც მოასწრო თავისი მსხვერპლის გადასანსვლა. მართლმსაჯულება აღსრულდა! მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა. რადგან კატა მიაუ მეფის დედის სიკვდილის შედეგს უცდიდა.

დედის დაკრძალვის შემდეგ მეფე საქმის გამოძიებას შეუდგა. მოითხოვა დამნაშავეთა გამოძახება. დარაჯმა მოახსენა. რომ უბედურების მიზეზნი იყვნენ კატა მიაუ და თაგვი ბამბატოლე, რომლებმაც კარვის სახურავზე საშინელი ჩხუბი გააჩაღეს. მათ ჩამოგლიჯეს ფარდა, რომელსაც ცეცხლი მოეკიდა. კარავს ხანძარი მოედო და მეფის დედას ჯოჯოხეთურ ტანჯვაში ამოხდა სული. მეფეს გადაწყვეტილი ჰქონდა დარაჯის დასჯა. მაგრამ, უბედურების მიზეზი რომ გამოარკვია. გადაიფიქრა.

დაკრძალვაზე მოსულ საპატიო სტუმართა გასამასპინძლებლად მეფემ ბრძანა ყველაზე დიდი მამალი დაეკლათ. ეს პატივი დიკსა ჰხვდა წილად.

მაშინ კატა მიაუმ დიკთან მიირბინა და უთხრა:

ხედავ. ძმობილო. როცა სამართალი გთხოვე. გამაგდე. ეს გულგრილობა ახლა სიცოცხლის ფასად დაგიჯდა.

დიკს მყის თავი წააგდებინეს. შეწვეს. შეჭამეს.

ადათის მიხედვით. განსვენებულის სულის მოსახსენებლად მესამე დღეს მსხვერპლის შეწირვა იყო საჭირო. მეფემ ბრძანა:

— დედაჩემის სულის საცხონებლად ყველაზე დიდი ცხვარი დაჰკალით!

ეს პატივი ბარაკას ჰხვდა წილად.

მაშინ კატა მიაუმ მეფის შიკრიკს გაუსწრო. ბარაკასთან მიირბინა და უთხრა:

— ვფიქრობ. სულ მალე მიიღებთ ჯილდოს იმ გულცივობისთვის. ჩემი და ბამბატოლეს საქმისადმი რომ გამოიჩინეთ!

— რომელ ჯილდოზე ლაპარაკობთ. გენაცვალე?

— ნუ აცუნცრუკდი. მეფემ გადაწყვიტა მსხვერპლად შეგწიროს დედამისის სულის სალხენად. ეხ, მწუხარე ბედი გერგო, მეგობარო, მაგრამ რას იზამ! როცა გთხოვე, მაშინ რომ გაგერჩია ჩემი და იმ თაგვის დავა, რა თქმა უნდა. არც მეფის დედა მოკვდებოდა და არც შენი მსხვერპლად შეწირვა გახდებოდა საჭირო. ახლა კი იწვნიე!

ამის თქმა და მეფის მსახურის გამოჩენა ერთი იყო. ბარაკა დედოფლის აკლდამასთან მიიყვანეს და თავი წააგდებინეს...

თუ განსვენებული ხნიერი იყო. ორმოცი დღის თავზე უნდა გაემართათ ყველაზე დიდი ცერემონია და ყველაზე მსხვილი ოთხფეხი დაეკლათ. ამ დღეს ოჯახის ყოველ წევრს განსვენებულის ნათესავთა შესაწევნად მოჰყავს თხა. ცხვარი თუ ხარი... მეფემ ყველაზე დიდი ხარის მსხვერპლად შეწირვა ბრძანა. ამჯერად პატივი წილად ერგო სამბას.

გაიგო თუ არა კატა მიაუმ ეს ამბავი. სამბასთან მიირბინა და უთხრა:

— მონაწილე ვარ შენი მწუხარებისა. ჩემო უბედურო მეგობარო. შენ სიკვდილი მოგისაჯეს. სადაცაა მოგაკითხავენ და მეფის დედის სულის საცხონებლად ანდერძს აგიგებენ. იცი, რისგან მოკვდა მეფის დედა?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს, გენაცვალე. მაგრამ ძალიან კი დამავალებდი. თუ სასარგებლო რჩევას მომცემდი და ამ საშინელი ხვედრისაგან მიხსნიდი.

— მაშ. იცოდე. ჩემო უბედურო მეგობარო. მეფის დედა დაიწვა იმ ცეცხლით. რომელიც მე და ბამბატოლეს ჩხუბმა გამოიწვია. აბა, კარგად მოიგონე: თქვენთან საჩივრით რომ მოვედი. თქვენ კი. თქვენდა საუბედუროდ. გამაგდეთ. ახლა რაღას იქმთ?...

ამ დროს მეფის შიკრიკიც გამოცხადდა. დაბმული ხარი ახსნა და განსვენებულის ეზოში მიიყვანა. სამბა მაშინვე დაჰკლეს და მისი ხორცი სტუმრებს დაურიგეს.

ასე ასრულდა მართლმსაჯულება!

თაგვ ბამბატოლეს რომ მიწის თხილი დროზე დაებრუნებია. დავიდარაბა არ ატყდებოდა. ფარდას ცეცხლი არ მოეკიდებოდა. მეფის დედა არ მოკვდებოდა. სტუმარნი არ შეიკრიბებოდნენ, მათთვის დიკს აღარ შეწვავდნენ და სამბას არ დაჰკლავდნენ. მაგრამ, რადგანაც მიაუს საჩივარს ყური არავინ უგდო, ყველა დაიღუპა.

მხოლოდ მიაუ გადარჩა უვნებელი და ჯანმრთელი.

იქ, სადაც აუცილებელია მშვიდობიანობის დამყარება, გულგრილობის გამოჩენა ნიშნავს დავიდარაბისა და ჩხუბისათვის ხელის შეწყობას, რასაც ეს ზღაპარიც ადასტურებს.

ყოველი უსიამოვნება დასაწყისში ახალდაბადებულ კვერცხსა ჰგავს და მაშინ ადვილია მისი მოსპობა. ხოლო, თუ მას ნებას მივცემთ, რომ გაიზარდოს, და არ მივაქცევთ ყურადღებას, განვითარდება: კვერცხი წიწილად გადაიქცევა, წიწილა — მამლად, მამალი — ლომად, და მისი დათრგუნვა მაშინ შეუძლებელი გახდება.

ასეა. კატის თხოვნა-მუდარა რომ დროზე შეესმინათ, მისი მოსამართლენი ახლაც ცოცხალნი იქნებოდნენ.

თარგმნა **ნუნუ ხომერიკმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრინველთა ენა

თქვენ თუ გგონიათ, რომ ქათმის კრიახი, რომლითაც იგი თავის წიწილებს უხმობს, სხვა ქათმებისთვისაც გასაგებია, სცდებით.

«ფრინველთა ენა» თურმე ისევე მრავალფეროვანია, როგორც ადამიანთა ენა, ერთ-ერთ კონგრესზე, რომელიც ამ საკითხებს არჩევდა, საფრანგეთიდან მოყვანილი ფრინველები ამერიკის ფრინველებთან მოათავსეს. როგორი იყო მეცნიერთა გაკვირვება, როდესაც ნახეს, რომ ფრინველები სრულიად არ უსმენდნენ ერთმანეთს. ამერიკული ყვავი დამშვიდებით იწმენდდა ფრთებს და სრულიად არ აქცევდა ყურადღებას მის ფრანგ თანამოძმეთა თავგანწირულ ყარყატს და პირიქით. ფრანგული თოლიები გაკვირვებით «სწევდნენ მხრებს» როდესაც ესმოდათ ამერიკული თოლიების ძახილი—«საჭმელი ვნახეთო».

ამ ცდებმა მეცნიერები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ერთსა და იმავე ჯიშის ფრინველებს, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობენ, საერთო ენა არ გააჩნიათ.

## მწერს ძეგლი აუგეს

ასეთი ძეგლი მართლაც არსებობს, იგი ავსტრალიაში, ქალაქ ბუნაგოში არის აღმართული.

გასული საუკუნის ორმოციან წლებში ავსტრალიაში არგენტინიდან შემოიტანეს ერთ-ერთი ჯიშის კაქტუსი; იგი ლამაზი იყო, ნაყოფსაც იძლეოდა და თან ბუნებრივ ღობედ შეიძლებოდა გამოყენებულიყო. მაგრამ მცენარეს უჩვეულო გამრავლების უნარი აღმოაჩნდა—სწრაფად მოედო მინდორ-ველს, დაფარა დიდი სათესი ფართობი. სასოწარკვეთილმა ფერმერებმა ომი გამოუცხადეს მას; გამოყენე-



ბული იქნა ათასგვარი საშუალება, მანქანები, საწამლავი, მაგრამ ჯიუტი მცენარე ვერ იქნა და ვერ ამოძირკვეს სათესი მინდვრებიდან.

გამოსავალი სავსებით მოულოდნელად იქნა ნახული. ამერიკიდანვე შემოიყვანეს აბრეშუმის ჭიის მსგავსი მწერი—კაკტოპლაზტისი; ათი წლის განმავლობაში ამ მწერის გაუმაძღარმა შთამომავლობამ შთანთქა კაქტუსის დიდი ნაწილი.

ამ განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მადლიერმა მოსახლეობამ მწერს ძეგლი აუგო.

## უცნაური ჩვეულება

ბირმის ტერიტორიაზე ასზე მეტი სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს. ბევრი მათგანი ძნელად მისადგომ მთის რაიონებში ცხოვრობს და მეცნიერებისათვის ჯერ-ჯერობით ნაკლებად ცნობილია. იმ მიდამოებში, სადაც ბირმა ინდოეთსა და ჩინეთს ესაზღვრება, 1956 წელს კვლე-



ვას აწარმოებდა ფრანგ მეცნიერთა პატარა ჯგუფი. იქ, მდინარე სალვინის სანაპიროებთან, მათ აღმოაჩინეს მცირერიცხოვანი ტომი—პადაუნგები, რომელთა ქალებს ნორმალურზე გაცილებით გრძელი 30, 40, ხშირად კი 50 სანტიმეტრის სიგრძის კისერი აქვთ. გაოცებულმა მეცნიერებმა გაიგეს, რომ გოგონებს თურმე ხელოვნურად უგრძელებენ კისერს, რადგან პადაუნგების თვალში ის, ვისაც გრძელი კისერი აქვს, ყველაზე ლამაზად ითვლება.

5 წლის გოგონას კისერზე ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმულ რგოლებს აცმევენ. რგოლები იმდენად ვიწროა, რომ აბრკოლებს ყლაპვას და პირველ ხანებში ტკივილებსა და უძილობას ადამიანი ავადმყოფობამდე მიჰყავს.

ორი წლის შემდეგ ისედაც გრძელ კისერს საათობით ჰქაჩავენ და კიდევ უმატებენ რგოლებს.

11 წლის ასაკში, მთელი ტომის თანდასწრებით გოგონას რგოლებს ხსნიან, ყოველმხრივ ათვალიერებენ, სინჯავენ. რგოლების ტარების გამო, კისერი იმდენად დაწვრილებული და დასუსტებულია, რომ თავს ველარ იმაგრებს, ამიტომ შვილის თავი, უკან მდგომ დედას ხელებით უჭირავს.

შემდეგ რგოლებს ისევ აცმევენ, რათა სიკვდილამდე ატაროს ივი.

## რამდენი ენაა დედამიწაზე?

დღეს გამოანგარიშებულია, რომ ენების რაოდენობა დედამიწის ზურგზე აღწევს 2395. ამაში არ იგულისხმება ერთსადაიმავე ენაში შემავალი სხვადასხვა დიალექტები.

## ახალგაზრდა ტბა

გულრიფშის რაიონის ტერიტორიაზე, მაღალ მთებში მდებარეობს ამტყელის ტბა. იგი კავკასიის ბუნებრივ ტბებს შორის ყველაზე ახალგაზრდაა. ტბის მახლობლად გაშენებულ ამავე სახელწოდების სოფელში ახლაც შეხვდებით მოხუცებს, რომელთაც ახსოვთ ამ ტბის წარმოშობა.

1891 წელს მდინარე ამტყელის ხეობაში უზარმაზარი მთა ჩამოინგრა, მდინარეს გზა გადაულობა და ის ვრცელი ველი, სადაც წინათ პირუტყვს აძოვებდნენ, წყალმა დაფარა.

ტბის სიგრძე დაახლოებით 2 კილომეტრია, სიგანე—300—400 მეტრი. მას წყლის დონის მკვეთრი ცვალებადობა ახასიათებს.

ტბიდან წყალი მიწისქვეშა კალაპოტით გადის დაახლოებით ერთ კილომეტრზე, შემდეგ ზედაპირზე გამოდის, მაგრამ მალე ისევ იკარგება კრისტალურ ძაბრებსა და ხვრელებში.

ამტყელის ტბაში ბევრი კალმახი ბინადრობს, ტბის ნაპირზე კი მრავლადაა ქვეწარმავალი.

## ადამიანის გული

ბევრს მუშაობს ადამიანის გული. წუთში იგი 60—80-ჯერ იკუმშება, დღე და ღამეში—ასიათასჯერ, წელიწადში—ოთხ მილიონჯერ, ხოლო მთელი ცხოვრების მანძილზე დაახლოებით ორნახევარ მილიარდჯერ. ერთი შეკუმშვის დროს გული საშუალოდ 60 კუბურ სანტიმეტრ სისხლს ატარებს, წუთში—4 ლიტრს, დღე და ღამეში—7—8 ტონას, წელიწადში—ორი ათას ტონას, ხოლო მთელი სიცოცხლის მანძილზე—140 ათას ტონაზე მეტს, ეს დაახლოებით 300 რკინიგზის ვაგონის მოცულობაა.



## ზღვა ავსტრალიის ქვეშ

გასულ წელს განსაცვიფრებელი აღმოჩენა მოხდა ავსტრალიაში. სამი ათასი მეტრის სიღრმეზე ჭაბურღილების გათხრამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ ავსტრალიის მატერიკის დიდი ნაწილის ქვეშ გადაჭიმულია გიგანტური წყლის აუზი. ფიქრობენ, რომ ასეთივე მტკნარი ზღვები შეიძლება სხვა მატერიკების ქვეშაც აღმოჩნდეს.



## 25 წელი სცენაზე

25 წელი ემსახურო მოზარდ მაყურებელს, ემსახურო პირნათლად და ნიჭიერად - საპატიო საქმეა! პიონერული ორგანიზაციისა და კომკავშირის აღზრდილმა ნიჭიერმა მსახიობმა მოზარდი მაყურებლის აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. წლების მანძილზე დავით ცხაკაია დიდი პასუხისმგებლობით მუშაობდა საკუთარ თავზე. იმაღლებდა ოსტატობას და ჰქმნიდა შესანიშნავ სახეებს.

ვის არ ახსოვს დავითის მიერ შესანიშნავი ოსტატობით შესრულებული როლები: ჟადოვისა (ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“), ლორენცოსი და მერკუციოსი (შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“), ჯანდიერისა („ბაში-აჩუკი“). მინაი გერასიმოვიჩისა (ვ. დარასელის „კიკვიძე“), პეპიასი („გლახის ნაამბობი„), ნოდარისა (კ. გოგიაშვილის „ფარავნელი ჰაბუკი“), ყაჩაღისა (ს. მთვარაძის „შირაქის გულში“), სევერიანისა (გ. ნახუცრიშვილის „სიჰაბუკე ბელადისა“) და სხვა.

დავით ცხაკაიას სასცენო მოღვაწეობა დაფასებული იქნა. ნიჭიერ მსახიობს 1955 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა. ახლახანს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა დავითს სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამო გაუმართა.

ყოველი მხრიდან

### ბორაზონი

რომელი ნივთიერებაა ბუნებაში ყველაზე მკვრივი? ბევრი უპასუხებს -- ალმასი. ეს მართალია. ალმასი იმდენად მკვრივი ნივთიერებაა, რომ მისი საშუალებით შეიძლება დამუშავდეს ყველაზე მკვრივი შენადნობიც კი. თავისი შესანიშნავი თვისებების გამო მას დიდი გამოყენება აქვს ტექნიკასა და მრეწველობის სხვადასხვა დარგში. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში თითქმის შეუცვლელია. მაგრამ ალმასი ბუნებაში ცოტაა. ძნელი მოსაპოვებელიც არის და მასზე გაზრდილ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

დიდი ხანია ცდილობენ ალმასი ხელოვნური გზით მიიღონ. მაგრამ ამ ცდებს დღემდე სასურველი შედეგი არ მოუცია.

გასულ წელს ამერიკის ერთ-ერთ ფირმაში ახალგაზრდა ქიმიკოსმა უენტორფმა დაამზადა ხელოვნური ალმასი, რომელიც თავისი სიმტკიცით არ



ჩამორჩებოდა ჩვეულებრივ ალმასს. ახალმა ზემკვრივმა მასალამ მიიღო სახელწოდება-ბორაზონი. ორი სიტყვისაგან-ბორი და ოზონი. ეს შენაერთი ქიმიკოსებისათვის დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ როგორ მოხდა, რომ რბილი შენაერთი ალმასზე მკვრივ შენაერთად გადაიქცა? მეცნიერს ამისათვის ძალზე დიდი—60 ათასი ატმოსფერო წნევა და 1600 გრადუსამდე ტემპერატურა გამოუყენებია.

როგორც აღნიშნავენ, ბორაზონი გარკვეულ ფარგლებში სჯობნის კიდევაც ალმასს, რადგან იაფია და დიდ ტემპერატურასაც უძლებს. ალმასი და ბორაზონი 1090 გრადუსამდე რომ გავახუროთ, ალმასი ორ წუთში დაიწვება. ბორაზონზე კი ეს ტემპერატურა არ მოქმედებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბორაზონს დიდი სისწრაფით შეუძლია სჭრას მეტალი.

მეცნიერი არ ამხელს ბორაზონის მიღების ტექნოლოგიას, რადგან ეს გამოგონება მხოლოდ იმ ფირმას ეკუთვნის სადაც იგი მუშაობს. მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ საიდუმლო დიდხანს არ დარჩება მათს ლაბორატორიაში.

### სილოსი ორმოს გარეშე

დასილოსებული საკვები, მესაქონლეობის განვითარების აუცილებელი პირობაა. მაგრამ სილოსის ჩვეულებრივ მოსამზადებლად, აუცილებელია ორმოები ან სპეციალურად მოწყობილი კოშკები.

ამერიკის ერთ-ერთი უნივერსიტეტის თანამშრომლებმა მიაგნეს სილოსის ორმოსგარეშე დამზადების საშუალებას. სასილოსე მასალას ჰყრიან უზარმაზარ ტომარაში, რომელსაც იაფ, გაუმჭვირვალ, დრეკად ნივთიერება - ვისკინისაგან ამზადებენ. ტომარა ძალზე მსუბუქია და დაკეცილი სახით მცირე ადგილს იკავებს, რის გამოც მისი გადატანა ადვილია, ასე რომ, - ეს წესი მოსავლის აღების მოუცლელ პერიოდში. დროისა და ტრანსპორტის დიდ ეკონომიას იძლევა. სილოსის ჩაყრის წინ, ტომრის დასადგმელად საკმარისია გასწორდეს მცირე ადგილი და გარშემო პატარა ღობე გაკეთდეს. თუმცა ტომრის დაზიანება არ არის საშიში, რადგან იგი შეიძლება გარედანვე დაიწებოს.




### სიჩქარის რეკორდი

ბევრი კონსტრუქტორი მუშაობს დღეს ტურბოძრავიანი ავტომობილის შესაქმნელად. იტალიაში გამოშვებული ასეთი ავტომობილის—„ოქროს დელფინის“ შესახებ უკვე მოგიყევით გასულ წელს.

საფრანგეთის ავტოფირმამ „რენომ“ ააგო ავტომობილი რომელსაც დიდი სიჩქარის გამო „მეტეორი“ შეარქვეს. ამ ავტომობილმა ამერიკაში ავტორბოლისათვის შერჩეულ მლაშე, დამშრალი ტბის ზედაპირზე 307,7 კილომეტრი საშუალო სიჩქარე განავითარა.



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება | ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. № 7, 1958 Тбилиси, Плеханова, 91. მისამართი. თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 00953 ტირ. 14.000, ხელმოწერ. დასაბ. 4/VII-58 წ. სტამბის შეკვ. № 305, გამომც. შეკვ. № 742. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი“.

# გასართობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი



**ჰორიზონტალურად:** 1. მთიანი სოფელი გეგეჭკორის რაიონში; 5. ტბა ნორვეგიაში; 7. ძველი საბრძოლო საჭურველი; 8. ოლქი დასავლეთ გერმანიაში; 9. სახელმწიფო; 12. რაიონული ცენტრი აფხაზეთში; 15. აბრეშუმის ქსოვილი; 16. რაიონული ცენტრი იმერეთში; 19. სახელმწიფო ევროპაში; 21. სისხლსადენი ძარღვი; 24. ცნობილი ქართველი მწერლის სახელი; 25. ყვავილი; 26. მდინარე აფრიკაში; 27. სამხედრო ნადავლი.

**ვერტიკალურად:** 1. სოფელი თბილისის მახლობლად; 2. მდინარე საქართველოში; 3. ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე; 4. პურეულის სალეწი ადგილი; 6. ცნობილი ჩეხი მწერალი; 9. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე; 10. ხვედრითი წილი, საწევრო; 11. ბერძენთა სახელმწიფო ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII—VI საუკუნეებში; 12. რუმინეთის გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 13. მდინარე ოხოტის ზღვის მახლობლად; 14. შეიარაღებული ძალები; 17. ჰუნების ბელადი; 18. მდინარე დუნაის შენაკადი; 20. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში; 22. ელექტრომანქანის მოძრავი ნაწილი; 23. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში.

შეადგინა ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის საშ. სკოლის მოსწავლე **კაკო უბილავამ**

## გამოცანა

ვერცხლის კრავებს აბალახებს
მწყემსი, ვერცხლის ნაბდიანი;
კრავებს დღის შუქს არ აკარებს,
დადის ჩუმად დარდიანი.

თვალუწვდენი სამწყსო არის,
ნადირი არ ეკარება,
არც ბღავილი ისმის კრავის—
მწყემსს რომ უცბად ეკარგება.

გამოდიან საბალახოდ,
მთელ ღამეს არ იძინებენ,
არ მიდიან ხალხთან ახლოს,
ცელქობენ და ციმციმებენ.

მიხვდით, გულში ჩასაკრავებს
რა სახელი ჰქვიათ კრავებს,
და ან მუდამ თეთრნაბდიან
მწყემსს კი რაღას ეძახიან?!

**გ. ირემაშვილი**

## 100 კაპიკად 100 ნივთი

მაღაზიიდან მომავალ გიას თამაზი შეხვდა:

— გია, ეგ რა შეგიძენია?

— 100 კაპიკად 100 ნივთი ვიყიდე!

— როგორ?

— თითო რვეულში 15 კაპიკი გადავიხადე, ფანქარში—4 კაპიკი, ხოლო წყვილი კალამი 1 კაპიკად შევიძინე, სულ 100 ნივთი—100 კაპიკად.

თამაზს გამოცნობა გაუჭირდა. იქნებ თქვენ დაეხმაროთ ამოხსნაში?

**გ. გველესიანი**

## პასუხი „პიონერის“ № 6-ში მოთავსებულ გასართობზე

### პასუხი „კროსვორდზე“

**ჰორიზონტალურად:** 1. ბალბა; 4. ნეონი; 6. ოდესა; 7. ორასი; 9. ირემი; 11. ობრუჩევი; 12. კაშალოტი; 13. ტაიტი; 16 სვავი; 18. ანაპა; 19. ათენი; 20. იმამი.

**ვერტიკალურად:** 1. ბადრო; 2. აზოტი; 3. ტრაგედია; 4. ნიავი; 5. ირანი; 8. არჩვი; 10. ელადა; 13. ტატრა; 14. ისანი; 15. პარაგვაი; 16. სკამი; 17. ილინი.

### პასუხი „თავსატეხზე“

1. რეფორმა; 2. ყუმბარა; 3. მასიური; 4. „ქართული“; 5. აგარაკი; 6. ნიდაყვი; 7. ჭადრაკი.



ს. 61/206
ეროვნული ბიბლიოთეკა